საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორაც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 17 აპრილი. 2019 წ. №76 (8742) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

მხილება

ქართული პოლიტიკის „ვარდის-ფერი კვარტლის“ ვნებები

იხ. 3 გვ.

„რა ძნელია, რუსთაველო, მეტეხო და დიღმის ველო, მიდიოდე და ფიქროობდე, ეს არ არის საქართველო“!

საქართველოს პრემიერი ბულგარეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს შეხვდა

ბულგარეთი სრულად უჭერს მხარს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს, ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, – ამის შესახებ ბულგარეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რუმენ რადევმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძესთან პირისპირ შეხვედრისას განაცხადა. პირისპირ შეხვედრის შემდეგ მოლაპარაკებები გაფართოებულ ფორმატში გაგრძელდა, რომელშიც ბულგარეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ხაზი გაესვა ორი ქვეყნის მთავრობათაშორისი კომისიის საქმიანობის როლს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების შემდგომი გაღრმავების უზრუნველყოფაში. მხარეებმა ისაუბრეს პოტენციურ პროექტებზე, რომელთა განხორციელება ამ კუთხით არსებული შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენებას შეუწყობს ხელს.

ყურადღება გამახვილდა საბორნე მიმოსვლის სამომავლო განვითარების პერსპექტივაზე, რაც საქართველოსა და ბულგარეთის საზღვაო პორტებს შორის კავშირებს განამტკიცებს. მთავრობის მეთაურმა პრეზიდენტ რუმენ რადევს ბულგარეთის პირველი კონსტიტუციის მიღების 140 წლის იუბილეც მიულოცა, რომელსაც რესპუბლიკა 16 აპრილს ზეიმობს.



როინ მეტრეველი:

ჩვენ წავიდეთ იქით, სადაც სინათლე და სიმართლეა! 7

უნიკალური ეროვნული სიმდიდრე ხელისუფლებამ ქარს გაატანა

4

სათამაშო ბიზნესმა მოსახლეობა ჯერ გააკოტრა, მერე – გამოათაყვანა! 6

როგორ უნდა გადაიჭრას პრობლემა

ხანძარმა მსოფლიო გააერთიანა

შენი ვარ, ღვთისმშობელო, მღვიძარიც და მძინარიც,
ვგრძნობდი, რომ რაღაც განსაცდელი მიცდიდა,
მიიღე პარიზო, ჩემი ღრმა სამძიმარი,
ჩემი ღვთისმშობლის ჩილხვედრი მიჩიდან.

იხ. 5 გვ.

„პანორამა თბილისის“ მშენებარე ობიექტიდან 3 მუშა გადმოვარდა

რუსთაველის გამზირზე, ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი მშენებლობიდან გადმოვარდნილი სამი მუშა საავადმყოფოებში გადაიყვანეს. ერთი დაშავებული ინგოროყვას სახელობის კლინიკაში, ხოლო ორი კი – ამტელში. წინასწარი ინფორმაციით, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ფაქტის ამსახველი ვიდეომასალა, სოციალურ ქსელში გავრცელდა. კადრებში ჩანს, რომ არც ერთ მათგანს, სპეცაღჭურვილობა არ აქვს.

ბოლო 10 წელიწადში ავარიების შედეგად საქართველოში 6 608 ადამიანი გარდაიცვალა, 85 946 კი დასახიჩრდა!

თბილისსა და რეგიონებში დამტვრეული მანქანები შს სამინისტრომ დაამონტაჟა

სოციალური კამპანია, რომლის ფარგლებშიც დედაქალაქსა და რეგიონებში დამტვრეული მანქანების ინსტალაციები დამონტაჟდა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ განახორციელა. როგორც შს მინისტრმა გიორგი გახარიამ აღნიშნული კამპანიის პრეზენტაციისას განაცხადა, მისი მიზანი საზოგადოების წევრების კომფორტის ზონიდან გამოყვანაა, რათა საგზაო უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული გამოწვევა რეალურად შეფასდეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საზოგადოებას საგზაო უსაფრთხოების კუთხით არსებული სიტუაციის ანალიზი და 2019 წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამოქმედო გეგმა წარადგინა. ღონისძიება შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ გახსნა. სიტყვით გამოსვლისას გიორგი გახარიამ ავტოსაგზაო შემთხვევების მაღალ მაჩვენებელსა და მის შედეგად გამოწვეული ზიანის მასშტაბებზე ისაუბრა. ასევე, მინისტრმა, ყურადღება გაამახვილა საზოგადოების მხრიდან პრობლემის გაცნობიერების მნიშვნელობასა და მდგომარეობის გამოსწორებაში თითოეული მოქალაქის ჩართულობის აუცილებლობაზე.

— ჩვენი დღევანდელი შეკრების მიზეზი გახლავთ ის, რომ საზოგადოებას გავაცნოთ, რა მიდგომა უნდა გვქონდეს ამ პრობლემის გადასაწყვეტად. ყველა კვლევით, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევით, საქართველო გზებზე დაკარგული მოსახლეობის რაოდენობით არის ლიდერი, როგორც რეგიონში, ასევე ევროპაშიც. შესაბამისად, ყველამ უნდა გავაცნობიეროთ, რა არის ასეთი დიდი მსხვერპლის მიზეზი. ჩვენ არ ვსაუბრობთ რომელიმე უწყების კარგ ან ცუდ მუშაობაზე, ჩვენ ვსაუბრობთ კონკრეტულ მიზეზებზე: ეს გახლავთ სიჩქარის გადამეტება, საპირისპირო მოძრაობაზე გამოსვლა, საგზაო ნიშნის მონაცემების არ დამორჩილება, სიმთვრალე. ეს არის საზოგადოების საერთო პრობლემა და ყველამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ თითოეული საზოგადოების წევრის პირდაპირი ვალდებულებაა, გამოვიდეთ კომფორტის ზონიდან და რეალურად შევაფასოთ ის გამოწვევა, რომელიც არის ჩვენს გზებზე. ვერც ერთი უწყება, ვერც შინაგან საქმეთა სამინისტრო, გზების დეპარტამენტი, მერია, მარტო ამ პრობლემას ვერავინ მოაგვარებს, რადგან ეს გახლავთ მთლიანად საზოგადოების გამოწვევა. ამ პრობლემის მოგვარებას ცალკე აღებული ვერ უშველის ვერც ტექდათვალიერების გამართული ფუნქციონირება. მე შემიძლია ბევრი რამ ჩამოვთვალო, რა გააკეთა მაგალითად შინაგან საქმეთა სამინისტრომ. 2017 წელს ჩვენს გზებზე იყო მხოლოდ და მხოლოდ 170 კამერა, დღეს არის 2600, წლის ბოლომდე იქნება 5000. კონტროლის მექანიზმები იქნება კიდევ უფრო ეფექტიანი, სიჩქარის გადაჭარბების სექციური კამერები წლის ბოლომდე დაფარავს საქართველოს გზების 700 კილომეტრს, ჩამოყალიბდა ავტოსაგზაო შემთხვევების სიღრმისეული შესწავლის სისტემა, შავი წერტილების გამოვლენის და მათი გამოსწორების და კიდევ ბევრი რამ. თუმცა, ყველას კარგად გვესმის, რომ ვერც ერთი ჩვენგანი, პასუხისმგებლიან დაპირებას საზოგადოებას ვერ მისცემს, იმიტომ, რომ ეს არის კომპლექსური პრობლემა. ჩვენ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ჩვენი ძირითადი მიზანი იმ კამპანიისთვის, რომელსაც „მეტი სიცოცხლისთვის“ დავარქვით, იყო ჩვენ თვითონ და საზოგადოების თითოეული წევრი გამოგვეყვანა კომფორტის ზონიდან. ნაწილობრივ ჩვენ ეს შევძელით და მადლობა მინდა, გადავუხადო ყველა კრიტიკოსს, მათ შორის ძალზედ მკაცრი კრიტიკისთვის, მათ შორის ჩვენს მეგობრებს, კოლეგებს და კიდევ ბევრ ადამიანს, რომლებმაც მართლა კრიტიკის ქარცეცხლში გაგვატარა, თუმცა, მინდა, გითხრათ, კოლეგებო, რომ ეს არ ყოფილა ჩვენი მარტივი არჩევანი. ყოველთვის ვიაზრებდით და დღესაც ვიაზრებთ, რომ თუ არ შევხედეთ ობიექტურ რეალობას და არ გავუსწორეთ თვალი, ამ პრობლემის მოგვარების არანაირი შანსი არ გვექნება...

მამუკა ბახტაძე ბულგარელ კოლეგას ესაუბრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტი ბულგარეთის რესპუბლიკაში ბულგარელ კოლეგასთან შეხვედრით დაიწყო. მამუკა ბახტაძეს ბოიკო ბორისოვმა ბულგარეთის მინისტრთა საბჭოში პირისპირ შეხვედრაზე უმასპინძლა.

მხარეებმა საქართველო-ბულგარეთის ორმხრივი ურთიერთობების ყველა ძირითადი მიმართულება, შავი ზღვის აუზის პერსპექტივები, სატრანსპორტო კავშირებისა და სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით არსებული პოტენციალი განიხილეს.

დადებითად შეფასდა ორმხრივი ვაჭრობის განვითარების დადებითი დინამიკა და ის ფაქტი, რომ ბულგარეთი საქართველოს სავაჭრო პარტნიორების პირველ ათეულში მოექცა. პრემიერ-მინისტრები ასევე მიესალმნენ საქართველოსა და ბულგარეთის მთავრობათაშორისი კომისიის ქმედით მუშაობას, რომელსაც ხელშესახები შედეგები მოაქვს ეკონომიკური, სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლობის მიმართულებით.

პირისპირ შეხვედრის შემდეგ მოლაპარაკებები გაფართოებულ ფორმატში გაგრძელდა, რომელშიც ორი ქვეყნის მთავრობის წევრები მონაწილეობდნენ. მხარეებმა დეტალურად განიხილეს შავი ზღვის უნიკალური შესაძლებლობები და ის უპირატესობები, რომელსაც საქართველოსა და ბულგარეთს გეოგრაფიული მდებარეობა აძლევს. ყურადღება გამახვილდა ტრანსპორტის სფეროში არსებული პოტენციალის სრულად ათვისების მნიშვნელობაზე, განსაკუთრებით საბორნე მიმოსვლის მიმართულებით.

გაფართოებული ფორმატის შეხვედრაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, ბულგარეთის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი სოფო ქაცარავა, ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ეკატერინა ზახარიევა და ორი ქვეყნის ეკონომიკის მინისტრების მოადგილეები მონაწილეობდნენ.

პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზს ზვიად გამსახურდიას სახელი მიენიჭა

საქართველოს **პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელი მიენიჭა.** ამის შესახებ გადაწყვეტილება ბიურომ 16 აპრილის სხდომაზე მიიღო.

„28 წლის წინათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოცხადდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის მიერ, მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარე ბატონი ზვიად გამსახურდიას მიერ სწორედ პლენარულ სხდომათა დარბაზში და ამ აქტის მიმართ პატივისცემის ნიშნად და ასევე საქართველოს პირველი პრეზიდენტის მიმართ პატივისცემის ნიშნად, შემოთავაზებულია წინადადება, რომ პლენარულ სხდომათა დარბაზს ეწოდოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელი“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ. პარლამენტის ბიურომ გადაწყვეტილებას ერთხმად დაუჭირა მხარი.

ვენეციის კომისიის დასკვნა ცნობილია

მოსამართლეთა **შერჩევის წესი — ვენეციის კომისიის დასკვნა ცნობილია. განცხადება გუშინ პარლამენტის თავმჯდომარემ გააკეთა.**

ირაკლი კობახიძის თქმით, ვენეციის კომისია დადებითად აფასებს ორგანულ კანონში შესატან ცვლილებებს, რომელიც დაკავშირებულია მოსამართლეთა არჩევასთან. კობახიძის თქმით, წარმოდგენილია რამდენიმე ძირითადი რეკომენდაცია, რომელთა გაზიარებაც მოხდება. მათ შორის შესაძლებელია, მმართველმა გუნდმა გაიზიაროს ოპოზიციის მოთხოვნა გამოცდის ამოღებასთან დაკავშირებით.

„ვენეციის კომისია დადებითად აფასებს ორგანულ კანონში შესატან ცვლილებებს, რომელიც არის დაკავშირებული მოსამართლეების შერჩევასთან, მოსამართლეთა არჩევასთან და ეს კანონპროექტი, როგორც მოგეხსენებათ, ადგენს უპრეცედენტოდ ღია და გამჭვირვალე პროცედურას, რომელსაც არა აქვს ანალოგი ევროკავშირის ქვეყნებშიც კი,“ — განაცხადა კობახიძემ.

წიაღის სექტორი უფრო მიმზიდველი გახდება ქართული და უცხოური კომპანიებისთვის

„წიაღის **სექტორი ჩვენი ეკონომიკისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროა არა მარტო დასაქმების, არამედ ინვესტიციების მოზიდვისა და ექსპორტის თვალსაზრისითაც“,** — ამის შესახებ გიორგი ქობულიამ წიაღის სექტორში მოქმედი კომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრისას განაცხადა. ღონისძიების ფარგლებში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა კომპანიის წარმომადგენლებს გაწეული საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა.

„სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ჩვენ ერთმანეთს გავუზიარეთ ხედვები და ვისაუბრეთ არსებულ გამოწვევებზე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ წიაღის სექტორში წელს დაახლოებით 200 მლნ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ვგეგმავთ, ექსპორტი კი სადღაც 600-დან 700 მლნ დოლარამდე უნდა იყოს. ეს საქართველოსთვის ძალიან დიდი თანხაა, ამიტომ ჩვენ ამ სექტორის განვითარებას განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ“, — აღნიშნა მინისტრმა.

„დაიცავი საქართველო“ იშლება?!

„ДАИЦАВИ საქართველო“ კახა მიქაიამ დატოვა. ამის შესახებ მან განცხადება სოციალური ქსელით გავრცელა.

„მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო საზოგადოებრივი მოძრაობა „დაიცავი საქართველო“. ჩემი დიდი სურვილია, ასპარეზი დავუთმო ახალგაზრდებს, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ახალი ენერგია სჭირდება დღეს ქვეყანას პოლიტიკური, სოციალური და მორალური კრიზისიდან თავის დასაღწევად, საზოგადოების წინაშე არსებული გამოწვევების ახლებურად გასააზრებლად! რაც შემეხება მე, ვეცდები, ჩემი მოკრძალებული წვლილი კვლავაც შევიტანო ქვეყნის ინტერესების დაცვის საქმეში,“ — წერს მიქაია.

მხილება

„რა ძნელია, რუსთაველო, მეტეხო და დიღმის ველო, მიდიოდე და ფიქრობდე, ეს არ არის საქართველო“!

ქართული პოლიტიკის „ვარდისფერი კვარტლის“ ვნებები

ხომ ვამბობდი, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს-მეთქი?! ნახეთ და დაიჯერეთ... და თანაც ისწავლეთ კიდეც, თუ ამის უნარი გაგაჩნიათ...

ბოდიში, ბოდიში... მე მგონი, წინა აბზაცის დასკვნით ნაწილში ერთი დიდი და უპატიებელი უზუსტობა დავუშვი და შევეცდები აქვე, ოპერატიულად გამოვასწორო. აი, დაახლოებით ასე – არა, ამას ვერ ისწავლი, რადგან ეს ნიჭია, რომელიც ან გაქვს, ან – არა!

ამ ქვეყანაში ისეთი ამბები ხდებااااა(!), ჩემი გამოცდილების კაცსაც რომ განაცვიფრებს და საგონებელში ჩააგდებს. აფსუს, სად არის მიხეილ ჯავახიშვილი?! მე მგონი, თეიმურაზისა და ჯაყოს ფენომენების და მათ შორის დიდი ენერგეტიკული კავშირის თავიდან, ახლებურად გააზრების დრო დადგა, თუ შემოგვეპარა(?)...

დიახაც, რომ შემოგვეპარა... **უცებ, ჩვენდა უნებურად, აღმოვჩნდით იმ მოცემულობის წინაშე, რომ თურმე მარადიულ ღირებულებებს ერთმანეთის მიყოლებით ვადები ეწურებათ, თურმე მცნებები (ღმერთო, მაპატიე!) გადასახედი გამხდარა და თურმე აქსიომებსაც გასვლიათ ყავლი. თეორემებზე და წესებზე ხომ ლაპარაკიც აღარ არის.**

მაგალითად, სულ რომ გვგონია, რომ ნახევრად ფეხმძიმედ ყოფნა შეუძლებელია, ქართველი „რესპუბლიკელები“, ოცდაათ წელზე მეტია, საქმით აჩვენებენ, რომ ეს არის ძალიან ჩვეულებრივი მესამე მდგომარეობა, მთავარია, ამის სურვილი გქონდეს. უნდა აღინიშნოს, რომ მათ „მოღვაწეობაში“ სიახლეებსაც ვხვდებით („იზრდებიან“). ნახეთ, ფრონტის ხაზი როგორ გაშალეს, მიუხედავად იმისა, რომ სამი ათეული წლის განმავლობაში მათი ჯამური რაოდენობა 10-12 კაცს ვერ ასცდა (ამაზე იტყვიან, ერთი „დუჟინი“ ხალხი ტრიალებსო) და სხვადასხვა სახელის და სტატუსის ქვეშ როგორ უტევენ ხელისუფლებას „წერტილოვანი დარტყმებით“.

ძირძველი „რესპუბლიკელები“, ძმები ბერძენიშვილები, უშუალოდ „მიშას სასტავს“ აეფარნენ კედელივით (ბევრი გამისწორებს – კედელივით კი არა, ლეღვის ფოთოლივითო. კარგით, არ გავჯიუტდები, იყოს – ლეღვის ფოთოლივით). ასეთ საპასუხისმგებლო მისიას სხვას ხომ არ აჰკიდებდნენ, აბა? კიდევ ერთმა ძირძველმა („კონსტიტუციონალისტი“ ძაბირაძე) და ერთმა ნახევრად ძველმა („მწერალი“ ზურაბიშვილი), „ექსპერტების“ პოზიციებიდან „ილაშქრეს“; „ახალი თაობის“ ლიდერი (ლიდერიც ის არის, ავანგარდიც და არიერგარდიც, რადგან სხვა „ახალი“ ჯერ ვერ ჩაეტია „პარტიის“ მკაცრ კრიტერიუმებში) ანა დოლიძე პირდაპირ კოჭებში ჩააფრინდა პარლამენტის თავმჯდომარეს (უფრო მაღლა ჯერ ვერ სწვდება) და „გასაქანს არ აძლევს“; რაც შეეხება „მძიმე არტილერიას“ (უსუფაშვილი-ხიდაშელი), აქ ცოტა ვრცლად უნდა ვისაუბროთ, რადგან „რთულ“ მანევრებთან გვაქვს საქმე.

ვიდრე „შენების“ მოძრაობის „გათვლებს“ ჩავუღრმავდებით, მოდით, საერთო სურათი შევაფასოთ: ჯერ ნახეთ, რა ძალაა!.. მერე ამას დავუმატოთ სამნიძე და კორძაია... ამ ბოლო დროს, რაღაც, „დეცენტრალიზატორი“ შერგელაშვილი და კიდევ ებანოიძე მაკლიან თვალში, მაგრამ სად წავლენ, „რესპუბლიკელობა“ ხომ ბედისწერაა... ამ ხუმრობა-ხუმრობაში კი გამოვიდა კაი თერთმეტი კაცი. ეჰ, ხმალაძე, ხმალაძე... ახლა სახლში ჯდომა იქნებოდა?.. ამ ქვეყანაში ბოროტს რა გამოლევს – იტყვიან, „დუჟინს“ ერთი აკლიაო(!).

ჩვენში დარჩეს და, ეს „შენების“ მოძრაობა რაღაცნაირად მეხამუშება. „ახალი რესპუბლიკელი“, ან „განახლებული რესპები“ მაინც დაერქმია. მაგრამ, ეტყობა, თავის დიდ მასწავლებელს დავით ბერძენიშვილს „დიდი გაყოფის“ მერე, ასე მიახლოვება ვერ აკადრა. ჰმ... **„ყვავს რა ჰქონდა და ბუ(ბუ)ს გაჰქონდაო“,** სწორედ ამაზეა ნათქვამი (დღეს ეს ანდაზები ნეტა რატომ ავიჩემე?.. თან მარცხენა თვალიც რომ მითამაშებს?!).

ახლა დავფიქრდი, ძალიან მარტივად ხომ არ ვუყურებ-მეთქი ამ ყველაფერს? სად პოლიტიკის გოლიათი დავითის სიღრმეები და მეორე გოლიათი დავითისგან ნასწავლი ელასტიურობა **(ქვეყანაში არ დარჩენილა „გარშოკი“, რომლის თავსახურებიც ეგ და მისი ძმა არ ყოფილიყვნენ)** და სად ვიღაც რიგითი „ურა-პატრიოტი“ პუბლიცისტის ნაწვალები აზრები? რაღაც რომ აუცილებლად შემეშლება, ამას წინასწარ ვაღიარებ და ბევრი რომ არ შემეშალოს, ამიტომ პირდაპირ მოვლენათა განვითარებას მივყვები.

2012 წლის პარლამენტმა დავით უსუფაშვილის ხელმძღვანელობით დასაწყისშივე ისე „მაღლა“ ასწია თამასა, რომ საზოგადოებაც და თვითონ კოალიციაც გაოგნებული დატოვა და ასე გაოგნებული ატარა კიდევ რამდენიმე კვირის განმავლობაში, სანამ ჩანაფიქრი ბოლომდე არ მიიყვანა. ვგრძნობ, მკითხველს უჭირს ჩემ მიერ „ბრძნულად“ შეფასებული ნაბიჯის გახსენება და ერთი სული აქვს, როდის ამოვღერღავ, რა მაქვს მხედველობაში, მაგრამ... ინტრიგის კიდევ უფრო დასაძაბად იმასაც ვიტყვი, რომ იმიტომ ვერ იხსენებთ იმ მანევრს, ჩემო კარგებო, რომ მისი სიღრმეები დღესაც არა გაქვთ დანახული და სათანადოდ შეფასებული.

საქმე ეხება ე.წ. „ბუსუსებიანი პრეზერვატივების“ კანონპროექტს... აღიარეთ, რომ თქვენით ვერ მიხვდებოდით, საით მიმყავდა აზრთა მდინარება. „თუ გადაწყვეტ, უნდა დაჰკრა კიდეც“... და დავითმა გადაწყვიტა, დაჰკრა და ერთდროულად რამდენიმე ათიანშიც გაარტყა.

პირველი ათიანი ის იყო, რომ პარლამენტმა უცებ მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. მერე რა რომ ხალხი დასცინოდა, ყურადღება ხომ მიიპყრო? – იცის კაცმა საქმე...

მეორე ათიანი ის იყო, რომ ხელის ერთი მოქნევით დაიმსხვრა სტერეოტიპი „რესპების“ თეიმურაზ ხევისთავობის შესახებ – ხომ ხედავთ, რეები ვიცით(!) და სად ვიღაც ცვედანი თეიმურაზი და სად პრეზერვატივის მეცნიერებათა ღრმა და ყოვლისმომცველი ცოდნაო;

მესამე ათიანის არსი ცოტა მოგვიანებით შევიგრძენით: ორნახევარი წელი რომ ველოდით ახალ კონსტიტუციას და 400000 (ოთხასი ათასი) ლარი ხალხის ფული რომ უშედეგოდ, მაგრამ საქმიანი და ოდნავ გაბუტული გამომეტყველებით (აქეთ დაგვამადლა) რომ ჩაანთხლია პატარა დიდმა დავითმა უძირო ორმოში და მერე რომ დაგვმოძღვრა - არ დავწერეთ, იმიტომ, რომ მაინც არ გავიდოდა და რა აზრი ჰქონდაო (მაგარია, არა?) – ის იყო მესამე ათიანი.

ვინც ვერ გაიგო, რა კავშირია „კანონით განმტკიცებულ“ პრეზერვატივსა და „გადაგდებულ“ კონსტიტუციას შორის, მათთვის ყოველგვარი მაღალფარდოვნების გარეშე ვიტყვი – ბატონმა დავითმა სამ ასოზე რომ გაუშვა განახლებული კონსტიტუციური სისტემის მომლოდინე ამერ-იმერი საქართველო, კანონის ძალით დახარისხებული ნაირ-ნაირი პრეზერვატივები უკვე გამზადებული იყო, – წინსწრებით.

მენდეთ, რაც უფრო ჩავუღრმავდებით „თემას“, მით მეტ „ათიანს“ აღმოვაჩენთ... ერთი კიდევ უნდა ვთქვა, რადგან ვფიქრობ, რომ მთავარი სწორედ ეს არის: გავა საუკუნეები და ჩვენი შვილთაშვილიშვილები დავით უსუფაშვილს ასე გაიხსენებენ – ეს კაცი იმ პარლამენტის თავმჯდომარე იყო, „ბუსუსებიანი პრეზერვატივების“ კანონი რომ დაუტოვა შთამომავლობასო.

... და აი, ახალ რეალობაში, ახალი გამოწვევების წინაშე ორ ფეხზე მყარად მდგარი დავითი მორიგ სიღრმეებში (ვიღაც-ვიღაცებს რომ „ქაქი“ ჰგონია) ეშვება: **ვერც ივანიშვილს და ვერც სააკაშვილს ვერ მივართვიო ჩემი უხრწნელი პოლიტიკური სხეულიო, ხმამაღლა განაცხადა კულისების კულისებში ჩაკარგულმა და საქციელზე წასწრებულმა, გაბუტული ტუჩებითა და ოდნავ გაკვირვებული თვალებით იქვე დაამატა – ეს ის არ არის, თქვენ რაც გგონიათო.**

ანუ, მე რომ „ნაცებთან“ ერთად, ხელიხელჩაკიდებული, ხელმოწერებს ვაგროვებ, „თემატური ერთობაა“ და მერე რა მოხდაო და ჭიათურაში რომ ერთად წამოვაყენეთ მერობის კანდიდატი, ესეც მხოლოდ ტაქტიკური ნაბიჯია და სხვა არაფერიო (არა, მაინც რა ჭკვიანია, კამერების წინ რომ არ გამოჩნდა!.. რა შორსმჭვრეტელი...). **(თეიმურაზ ხევისთავიც ასე არ იყო? ჯაყო რომ ლოგინში „შემოეპარებოდა“, ვერავინ გაიგებდა, თეიმურაზი იქ იყო თუ არა... მაგრამ როგორი სარგებლიანი იყო ეს „ტაქტიკური ნაბიჯი“ და „თემატური ერთობა“?!.)**

> როგორც ერთ თქვენებურ ანეკდოტშია, ბატონო დავით, **შორიდან,** შეიძლება, ვიღაცას ეგრე გონებოდა, მაგრამ **ვინც ახლოდან გიყურებთ, სწორედ რომ პოლიტიკური პროსტიტუციის გარდა, სხვას ვერაფერს ვხედავთ** (ქიზიყელები სხვანაირად იტყოდნენ). დიახ, თქვენც, შალვა შავგულიძეც და ყველა, ვინც ბნელეთის მხარეს რაღაცას ებღაუჭებით, ტიპური (კლასიკური) პოლიტიკური მეძავები ხართ. **თეიმურაზ ხევისთავმა იცის, რომ მისი ფიზიკური გადარჩენა მხოლოდ მისი მორალური „ხმარების“ სანაცვლოდაა შესაძლებელი** – დიახ, იმიტომ ხართ მეძავები და თეიმურაზ ხევისთავები, რომ **თქვენი ყველა „პოლიტიკური“ აქტი ნაცჯაყოებთან – ნებაყოფლობითია.**

ერთ საინტერესო დაკვირვებაზე მინდა გავამახვილო ყურადღება: საზოგადოების თითოეული წარმომადგენელი იზიარებს იმ შეფასებას, რომ **შალვა შავგულიძის გადაწყვეტილება თავისი არსით ამორალურია.** კამათი მიდის იმაზე, რომ ბატონი შალვა ახლა გაპროსტიტუტკდა, თუ ძველი დროიდან კოტრიალობს „ნაცების“ პოლიტიკურ სქემებში; თვითონ გადაწყვიტა, თუ „ლუბამ აიძულა“ და ა.შ. და სხვ... **საოცარია, პირდაპირ...**

„პანელზე“ მოფარფატე „ღამის პეპლებზე“ არჩევანი მთლიანად გემოვნების საკითხია. „ვარდისფერ კვარტლებში“ არავინ სვამს კითხვებს „სტაჟის“ ხანგრძლივობასა და „არჩეული ცხოვრების გზის“ მიზეზებზე. როგორც მიხეილ ჯავახიშვილის კიდევ ერთი პერსონაჟი, ამ საქმეში დიდად გამოცდილი კვაჭი კვაჭანტირაძე იტყოდა – ზოგს ვარდის სურნელი ასდის, ზოგს კიდევ როკფორის ყველისო. ყოველთვის, ყველა დროში, ერთზეც და მეორეზეც არსებობს მოთხოვნაო.

თავს ვალდებულად ვთვლი, მკითხველისთვის განვმარტო, კრიტიკის სამიზნედ რატომ ავირჩიე „რესპები“ და დავით უსუფაშვილი და რატომ მივამატე შალვა შავგულიძე: მიზეზი ერთია – ისინი არიან ყველაზე ცნობადები და ყველაზე მაღალსტატუსიანები პოლიტიკურ მათხოვართა და პოლიტიკურ მეძავთა იმ მრავალსუბიექტიან მასაში, რომელიც აბინძურებს ქართულ პოლიტიკას და ამით დიდ ზიანს აყენებს სახელმწიფო ინტერესებს.

> **პოლიტიკური პროსტიტუცია, როგორც დაავადება, უნდა დასრულდეს და ამის ერთადერთი წამალი მხილებაა. ამ ვერაგი დაავადების მკურნალობა, ყველაზე ეფექტურად, მცოდნე და ობიექტურ პოლიტოლოგებს, ჟურნალისტებსა და პუბლიცისტებს ხელეწიფებათ. მჯერა, რომ მკურნალობა, თავის მხრივ, სწორედ ამ საქმის (პოლიტიკური პროსტიტუციის) ბობოლების „გაუვნებელყოფით“ იქნება სწრაფი შედეგების მომტანი.**

ბიძინა დვალი

P. S.

კიდევ ერთხელ მოსამართლეთა თემაზე: ბიძინა ივანიშვილმა, სატელევიზიო ეთერში, კიდევ ერთხელ, დეტალურად ახსნა, 2013 წელს არსებული რეალობიდან გამომდინარე, რატომ იქნა მიღებული ის გადაწყვეტილება, რომლის მონაწილეც ჩვენ, ყველა ერთად, ვიყავით. ისიც ითქვა, რომ ჩვენს ირგვლივ, მსგავსი ცოდვებით დამძიმებული ასიათასობით ადამიანი იყო და ყველასთვის სათითაოდ რომ მოგვეკითხა, ქვეყანა აღარ დაგვრჩებოდაო. მერე მორიდებით დაამატა (არა პირდაპირი ტექსტით), **ვინც უცოდველია, პირველი ქვა იმან ისროლოსო.**

ეკა ბესელიამ მარცხენა ხელში რომ ქვა ეჭირა, ის ესროლა. ხოლო ის, რაც მარჯვენაში ეჭირა, თვალს მოაფარა (შემდეგში, ცნობილი გახდა, რომ ეს თითქმის შეუმჩნეველი მოძრაობა, რაღაც კამერებმა დააფიქსირეს);

„მიშისტებმა“, „ბოკერიისტებმა“ და მათმა სატელიტებმა თქვეს, ქვების მეტი რა გვისვრიაო და თითომ თითო ქვა კიდევ გაისროლა მათ მიერვე შექმნილი სამიზნეებისკენ;

„ნაცების“ განაყოფ-სატელიტების ზურგს უკნიდან **კაპიტანი გიგაურის** მოკლე შეძახილზე – „ცეცხლი“ – რომელიც ვანო მერაბიშვილისგან ჯერ კიდევ 2007 წელს ჰქონდა ნასწავლი, სეტყვასავით წამოვიდა **„სამოძალაძე სეძტორის“** ბღუჯებად ნასროლი კენჭები;

დავით მაღრაძემ ერთი მოზრდილი ქვა ჯერ ხელში ათამაშა, იქნებ ამ აურზაურში ვერავინ შემნიშნოსო, მაგრამ უკნიდან კბილებში გაცრილი ხმა რომ ჩაესმა, – „როგორც პოეტმა, ვითომ ვერ გაიგე ბიძინას პოლიტიკური ახსნა-განმარტებები და ვითომ ვერც ის გაიგე, სახარებისეული „ნარატივი“ აქ რა შუაში იყოო და თანაც, კარგი ცხოვრება გინდა და ჩვენი მოთხოვნების შესრულება – არაო?“– თვალები ტკივილამდე დახუჭა და მოზრდილი ქვა, მაინც ნახევარი ძალით და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მაღალი არტისტიზმით, გატყორცნა მითითებული მიმართულებით;

ემზარ კვიციანმა ირმა ინაშვილს გადაუჩურჩულა, მოდი, ქვა ზევით ააგდე, მაინც იურისტს დაეცემა თავში და აქეთ იქნება თუ იქით, რა მნიშვნელობა აქვსო;

მუხრან მაჭავარიანი თვალზე სიხარულის ცრემლით, თავის საიუბილეო საღამოს ღრუბლებს ზემოდან რომ დასცქეროდა, თურმე უნებლიეთ, ქვების სროლის შემსწრე გამხდარა. მანძილის სიშორის გამო, დიდი შინაგანი ემოციით დამუხტულს, შეიძლება ვერც ვერაფერი შეემჩნია, რომ **არა გვარამია-კვესიტაძე-გრიგოლია-სანაია-ჟიჟილაშვილ-ჯანგირაშვილ-კაპანაძე (აჭარის ტელევიზია)-მელაძე-ტუხიაშვილის და სხვათა,** აგრეთვე **ხუხაშვილ-ციხკარიშვილ-ლაგაზიძე-საყვარელიძე-გამზარდიას და სხვათა** გამაყრუებელი ყიჟინა, ქვების სროლის პროცესს ფონად რომ ედო და ღრუბლებში რომ ატანდა. ნეტარხსენებულს თავისი განუმეორემელი ტემბრით ნაღვლიანად ჩაულაპარაკნია – **„რა ძნელია, რუსთაველო, მეტეხო და დიღმის ველო, მიდიოდე და ფიქრობდე, ეს არ არის საქართველო“!.**

... ბიძინა ივანიშვილი კი მთაწმინდის გადმოსახედზე იდგა დამწუხრებული და ხმამაღლა, ისე რომ ამას ვერც კი ამჩნევდა, მონოტონურად იმეორებდა – ამათ უკვე აღარაფერი ეშველებათ!.. ამათ უკვე აღარაფერი ეშველებათ!..

მერე, თითქოს შერცხვაო თავისივე ფიქრის – კი მაგრამ, ხალხმა რა დააშავა, შვილებმა და შვილიშვილებმა რა დააშავეს, თუნდაც ამათმა შვილებმა და შვილიშვილებმა?.. ან წინაპრებს როგორ უნდა ავუხსნათ... ან ღმერთს რა პასუხი უნდა გავცეთ?.. ბოლოს კი, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო – არჩეული გზიდან გადახვევა სამშობლოს ღალატიაო... და სამუშაო მაგიდას დაუბრუნდა.

14.04.2019

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

ვიდრე მქონეთა და არამქონეთა დაპირისპირებამდე მივალთ!

ის ფილოსოფია, რომელსაც ჩვენ დღეს მოვისმენთ, არც ჩემი ნააზრევია და არც ვინმე ჩვენი თანამედროვის. მინდა, მადლიერება გამოვთქვა თანამედროვე ფილოსოფოსის და მოაზროვნის **თამაზ გუთხუზის** მიმართ, რომელმაც მსოფლიოს ყველა დროის ფილოსოფოსთა ზოგიერთი ნააზრევი წიგნად **„შესაძლებლის აღსრულება“** შეკრა და გაგვიზიარა საკუთარი შეხედულებები. ეს ის ფილოსოფოსები არიან, რომელთა ათასწლეულების წინათ ნათქვამი დღესაც აქტუალურია, შეუდარებელია მაშინდელი აზროვნება, რომელსაც ვერ ცვლის ვერც ჟამი და დრო და დარჩება უკუნითი უკუნისამდე.

მიგვაჩნია, რომ ასეთი საინტერესო წიგნი დიდი ხანია, არ გამოსულა საქართველოში. ჩვენ არ გვაქვს იმისი ილუზია, რომ ამ ფილოსოფიას ყველა მოქალაქე ჩაწვდება. არა, ბატონებო, ეს არ არის ყველასთვის დაწერილი. ის მოაზროვნე და პროგრესული ადამიანებისთვისაა განკუთვნილი.

არადა, ამის და ბევრი სხვა რამის ცოდნა არ აწყენდა დღევანდელ ჩვენს გზააბნეულ საზოგადოებას.

აქედან გამომდინარე, შევეცდები ოქროს ასოებით შემონახული კლასიკური ფილოსოფიის და დღევანდელი „ფილოსოფიის“ გააზრებას. მკითხველებს ბოდიშს ვუხდი აღნიშნული წიგნიდან ვრცელი ციტატების მოხმობის გამო, რომლებიც შეგნებულად არ შემიკვეცია.

იხ. 5-7 გვ.

ეკონომიკურად გაჭირვებული ქვეყნის ხელისუფალნო, ჩაილულის წყალს ნუ გაატანთ ჩვენი გამდიდრებისა და გაძლიერების რეალურ იდეას!

უნიკალური ეროვნული სიმდიდრე ხელისუფლებამ ქარს გაატანა

სიმართლე გითხრათ, გაფაციცებით ვეძებ ხოლმე ქართულ პრესაში, მაგრამ ხშირად ვერ ვპოულობ აზრობრივად და შინაარსობრივად ისეთ დახუნძლულ პუბლიკაციას, როგორიც ამა წლის 11 აპრილის „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული ჩვენი სახელოვანი სპორტსმენისა და ბიზნესმენის **რომან რურუას** წერილია — **„ვიდრე მქონეთა და არმქონეთა დაპირისპირებამდე მივალთ“**. მისადმი ინტერესს აძლიერებს ავტორის ფილოსოფიური ხედვები — ჩაუღრმავდეს ანტიკური ფილოსოფიის კორიფეთა საუკუნეებგამოვლილ აზრებს და ისინი თანამედროვე ცხოვრების იერსახეს მიუსადაგოს. აი, თუნდაც წერილში ციტირებული არისტოტელე: **„მართებულ სახელმწიფოში მმართველები საერთო სარგებელზე ფიქრობენ, არამართებულში — მხოლოდ საკუთარ თავზე“,** საქართველოს ხელისუფლებასთან მიმართებაში განა არაფერზე მიგანიშნებთ?!

რა თქმა უნდა, ასეთი ფილოსოფიური წიაღსვლები წერილს დამაჯერებლობას მატებს, მაგრამ ვამჯობინე წინა პლანზე წამოვწიო ის საერთო ეროვნული სატკივარი, რაზეც სახალხო მოძრაობა **„საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისთვის“** დამფუძნებელი **რომან რურუა** ბატონ **არმაზ სანებლიძის** ავტორობით წლების მანძილზე შემუშავებულ ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის სწრაფი განვითარებისა და მოსახლეობის უმძიმესი ყოფიერების დაძლევის კონცეფცია-პროგრამაზე საუბრობენ. პროგრამის თანაავტორები არიან ცნობილი მეცნიერ-მკვლევარები და ღვაწლმოსილი ადამიანები.

მაინც, რაზეა საუბარი ამ კონცეფცია-პროგრამაში, რომელიც უკვე წლებია შემუშავებულია, მაგრამ ჯერაც ნაბიჯგადაუდგმელია. საუბარია ღვთივბოძებულ ბუნებრივ სიმდიდრეზე — სასმელი წყლის რესურსებზე, რაც გვაქვს ჩვენ და არა აქვთ სხვებს. ჩვენ ვჭირდებით მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას, რათა შეუფერხებლად მივაწოდოთ ეს უნიკალური თვისებების მქონე პროდუქტი.

რომან რურუას განცხადებით, ჩვენ ამ მხრივ მართლაც მდიდარი ქვეყნის შვილები ვართ, შეიძლება იმაზე მდიდარიც, ვიდრე გაზისა და ნავთობის მფლობელი ქვეყნებია. ამ სიმდიდრის გამოყენება-რეალიზება სიღარიბიდან თავის დაღწევის შანსთან ერთად, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსსაც გვაძლევს.

უვადოდ შეჩერებული კონცეფცია-პროგრამა „წყალი - ეროვნული სიმდიდრე“

აი, ზოგიერთი პუნქტი იმ პროგრამიდან:

18 თვეში საქართველოს მუნიციპალურ ერთეულებში აშენდება 190-მდე სასმელი წყლის ჩამოსასხმელ-დამფასოებელი ქარხანა;

პირველ ეტაპზე შეიქმნება 80-100 ათასამდე სამუშაო ადგილი. დასაქმებულთა ხელფასი იქნება 1500 აშშ დოლარის ეკვივალენტი;

კონცეფცია-პროგრამის რეალიზაციით საქართველოს ბიუჯეტს ყოველწლიურად ჩაერიცხება 2,5 მილიარდი აშშ დოლარის ეკვივალენტი;

სასმელი წყლის ინდუსტრიის სააქციო საზოგადოების წევრი გახდება საქართველოს მკვიდრი ყველა მოქალაქე, რომელსაც უფასოდ გადაეცემა ასეულათასობიოთ აშშ დოლარის მატერიალური ღირებულების 1 აქცია საკუთრების უფლებით. იგივე უფლება ენიჭება ყოველ ახალდაბადებულ ბავშვს.

— კეთილი და პატიოსანი, — იტყვით თქვენ, კონცეფცია-პროგრამა მართლაც დიდებულია, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაცია-ინსტიტუტები, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები თუ იცნობენ ამ პროგრამას და რა აზრისანი არიან ისინი?

— რა თქმა უნდა, იცნობენ, — მოისმენთ პასუხს, — კონცეფცია-პროგრამა შესწავლილი, ექსპერტირებული და მხარდაჭერილია მსოფლიო კაპიტალის ბაზრის ფინანსური ინსტიტუტების მიერ. სტრატეგიულ პარტნიორებთან ხანგრძლივი მოლაპარაკების საფუძველზე მიღწეულია შეთანხმება ათობით მილიარდი აშშ დოლარის გამოყოფის თაობაზე, პროგრამით დასახული ამოცანების სარეალიზაციოდ.

ასეა, პატივცემულო მკითხველო, კონცეფცია-პროგრამის ავტორებს თუ დავუჯერებთ (ვითომ რატომ არ უნდა დავუჯეროთ), მათი იდეების რეალური საქმეებით ხორცშესხმა საქართველოს ბედსა სწევს, სულ რაღაც წელიწადნახევარში ქვეყნის კუჭმიმხმარ ეკონომიკას ფეხზე წამოაყენებს, ხალხს დაასაქმებს, მომუშავეს ღირსეულ ანაზღაურებას მისცემს, ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთში გადახვეწილ ქართველობას სამშობლოში დააბრუნებს და იმედიანი ცხოვრების ხალისს გაუჩენს.

თუ ეს ყველაფერი ფანტაზიის ნაყოფი არ გახლავთ და მის რეალურობაში ეჭვი არავის ეპარება, ამ საქმის თაოსნებმა მაშინ ისიც გვითხრან, მათ მიერ დაანონსებული პროგრამა წლების მანძილზე ერთ ადგილზე რატომ გაიყინა, რომელმა ზღაპრულმა გველეშაპმა გადაუკეტა წყალს სადინარი იქით მსოფლიოს ხალხების დასარწყულებლად და აქეთ ქართველების დასაპურებლად?!

არა, ბატონებო, ოცდამეერთე საუკუნეში საგველეშაპო ზღაპრებით თავის მოტყუება აბა ვის ეკადრება, მაგრამ ნურც ის გაგვიკვირდება, თუ დღეს მისი (გველეშაპის) ფუნქციის შემსრულებლად ქართული სახელმწიფო მოგვევლინება. ამაზე ერთგვარი მოკრძალებით, მაგრამ არაორაზროვნად მიგვანიშნებს რომან რურუას განცხადება: **„მე ვერიდები ადამიანების მწვავე კრიტიკას, არ ვაძლევ თავს უფლებას ვინმე საზოგადოების განსჯისთვის გავწირო, მაგრამ ყველა ხელისუფლება — კომუნისტებისგან დაწყებული, დღევანდელობით დამთავრებული, დამნაშავეა ქართველი ერის წინაშე“.**

და განა მარტო დამნაშავე? როცა ქვეყნის წინამძღოლად მოგაქვს თავი და შენი უგერგილობა-უნიათობით მას ღვთით ნაბოძებ ამხელა სიმდიდრეს აკარგვინებ, არა თუ დამნაშავის, ერის მოღალატის „ტიტულსაც“ იმსახურებ“.

მე თქვენ გეტყვით და, დამნაშავეთათვის პასუხის საგებლად ფაქტებისა და მაგალითების მოძებნა გაჭირდება. ამის საილუსტრაციოდ მარტო თავქარიანი სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის გახსენებაც იკმარებს. იმ სააკაშვილისა, რომელმაც მთელი 9 წელიწადი მეზობელი რუსეთის გინება-გაღიზიანებაში, ტერიტორიების კარგვასა და საცოცხო პოლიტიკის რეალიზებაში ისე გალია, რომ ხალხის საჭიროებებისკენ ერთხელაც არ მოუხედავს. მსუყე დაპირებებით მოვიდა ხელისუფლებაში და, ალბათ, მჭლე საქმეების დანატოვარით წავა „ქართული ოცნება“. ქვეყნის ბრძენ მმართველად მოსულმა ბიძინა ივანიშვილმა მთელი თავისი ადამიანური რესურსები, საქველმოქმედო მილიონები ნაცებთან „დამოყვრებას“, პირმოთნე, ევროპის გამაგიჟებელი დემოკრატიის დამკვიდრებას, სიღარიბის დონის გაზრდას შეალია და ხალხი კიდევ უფრო მშიერი დაურჩა.

არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ დაანონსებული პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მიღებული ზღაპრული შემოსავლებიდან „ზემოთ“ ვიღაცები რაღაცას ვერ იყოფენ და იმათ პირუტყვულ მადას ეწირება ღატაკი ქვეყნის მოსახლეობის ინტერესები.

ხალხის ცრუ დაპირებებით გაცუცურაკების სეზონი არა და არ დასრულდა საქართველოში. დადგა დრო, საზოგადოება გათავისუფლდეს ქოცურ-ნაცური კოჰაბიტაციისგან. ისინი ხომ ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვის ნაცვლად საკუთარ ჯიბეზე არიან ორიენტირებული!

იმედია, ხალხი მხარს დაუჭერს ჩვენი ეროვნული სიმდიდრის — ქართული წყლის სარეალიზაციოდ წამოწყებულ მოძრაობას, პასუხს მოსთხოვს მათ, ვინც ეს საშვილიშვილო საქმე წლობით გაყინა და თავკერძა მთავრობას ამჯერად მაინც ხალხის ინტერესებისკენ შემოატრიალებს.

აშკარაა, რომ ხალხის სერიოზული მოთხოვნის გარეშე ეს საშვილიშვილო პრობლემა ვერ გადაწყდება.

ოთარ ხუციშვილი

ახალი ტიპის ტრენაჟორები საბურთალოზე

ვაკის რაიონის გამგეობა ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობას განაგრძობს. ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, ვაკის რაიონში რამდენიმე მისამართზე სრულიად ახალი ტიპის — Street Workout-ის ტრენაჟორების მონტაჟი მიმდინარეობს.

სპორტული მოედნების — ე.წ. ფიტნეს ზონების მოწყობა ვაჟა-ფშაველას VI კვარტალში, №15 კორპუსის მიმდებარედ და ნუცუბიძის IV მიკრორაიონის №34 კორპუსთან სრულდება.

რბილ საფარზე სპორტული კონსტრუქციების დამონტაჟების პროექტი მოსახლეობის თხოვნით დაიგეგმა. კომპლექსი ე.წ. შვედურ კედელს, ღერძებს (ტურნიკებს) და სავარჯიშო რგოლებს მოიცავს.

მსგავსი მოედანი ასევე, წყნეთში ეწყობა, ახლო მომავალში კი კუს ტბის ტერიტორიაზე დამონტაჟდება. სამუშაოებს გამგეობის დაკვეთით, შპს „ემ ემ“-ი აწარმოებს.

აღნიშნული ტრენაჟორების გარდა, მიმდინარე წელს, ვაკის რაიონში ხუთი ფიტნეს ზონა მოეწყო, რაზეც გამგეობის ბიუჯეტიდან 90 000 ლარი დაიხარჯა.

ქიზიყის ქუჩის რეაბილიტაცია სამგორის რაიონში

სამგორის რაიონის გამგეობა ორხევის დასახლებაში ქიზიყის ქუჩის რეაბილიტაციას ახორციელებს. სამუშაოების ფარგლებში, 700-მეტრიანი ცენტრალური გზა და საცხოვრებელ სახლებთან მისასვლელი მონაკვეთები მოწესრიგდება. ასფალტის საფარი საერთო ჯამში, 4 550 კვ.მ ფართობზე დაიგება.

ქიზიყის ქუჩაზე ასფალტის საფარი დღემდე არ არსებობდა, რის გამოც, მოსახლეობას გადაადგილების პრობლემა ექმნებოდა. აღნიშნული პროექტის დასრულების შემდეგ კი ადგილობრივები განახლებული ინფრასტრუქტურით ისარგებლებენ.

მიმდინარე საგზაო სამუშაოები სამგორის რაიონის გამგებელმა კახა გულედანმა დაათვალიერა.

„სამგორის რაიონში არაერთი ქუჩა გვაქვს, სადაც ათეულობით წლის განმავლობაში საგზაო ინფრასტრუქტურა არ მოწყობილა. გამგეობისთვის მსგავსი პროექტები განსაკუთრებულად პრიორიტეტულია. ქიზიყის ქუჩაზე საგზაო ინფრასტრუქტურა დღემდე არ მოწესრიგებულა. ამჟამად, აღნიშნულ ქუჩაზე ასფალტის საფარს ვაგებთ. ასევე, ვაწესრიგებთ საცხოვრებელ სახლებთან მისასვლელ მონაკვეთებს. სამგორის გამგეობა ორხევში ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს სხვა მისამართებზეც ახორციელებს — მალე დასრულდება სააკაძის ქუჩის რეაბილიტაცია, ასფალტის საფარი უკვე დავაგეთ კაკაბაძის ქუჩაზე“, — განაცხადა კახა გულედანმა.

პროექტი სამგორის რაიონის გამგეობის ბიუჯეტიდან 285 000 ლარით დაფინანსდა. საგზაო სამუშაოებს კომპანია „ენდი როუდი“ აწარმოებს.

მიიღე, პარიზო, ჩემი ღრმა სამძიმარი!..

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲰᲘᲣᲒᲝᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

მთელი დღეა იწვის ღვთისმშობლის ტაძარი,
ტაძართან ერთად ჩემი გული იწვის,
ჩემი გულიც იწვის პარიზული ხანძრით,
რატომ და რისთვის, ღვთისმშობელმა იცის.

მე ახლა შენი ვიქტორ ჰიუგო ვარ,
მე ვარ პოლ ვალერი, მე ვარ სტენდალი,
ღვთისმშობლის ტაძარს პატივი მივაგე,
ხანძარი ჩემს გულზე გადავიტარე.

მე ახლა ბათუმში ქართველი ფრანგი ვარ,
გული გავიმაგროთ, ვაქციოთ კაჟად,
საქმეს დაჭირდა და მეხანძრედაც ვარგივარ,
ამასვე იტყოდა, რომ იყოს ვაჟა
ფშაველა –პოეზიის მრისხანე მეხანძრე,
დღეს ჩემი გული ცეცხლივით ცხელია,
პარიზში გავფრინდები, მე სახლში ვერ გავძლებ,
აქ ტაიმ-აუტი გამორიცხულია.

დღეს პარიზია ყველას საასპარეზო,
რად მოგვივლინა განსაცდელი განგებამ,
ხანძარი ერთად ჩავაქროთ პარიზო,
ხანძარი ერთად ჩავაქროთ, ფრანგებო!

ფორტუნამ ქვისკენ იბრუნა პირი,
ცეცხლის ენები სივრცეებს ლოკავს,
იწვის ტაძარი, ღვთისმშობელი ტირის,
ღვთისმშობელი ტირის, სატანა როკავს.
ტაძარს გადავუსხათ ახალი სისხლი,
პარიზო ტაძარი აღვადგინოთ ერთად,
განსაცდელისაგან ღვთისმშობელი გვიხსნის,
ფრანგებო, გახსოვდეთ, ჩვენთან არს ღმერთი!

მეც მიყვარს პარიზის ჰავა ჯანმრთელი,
მისი ცხელი ფერფლი გულზე გადამეყარა,
ფრანგებო, თქვენთან არს პატარა საქართველო,
საქართველო, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა!

შენი ვარ, ღვთისმშობელო, მღვიძარიც და მძინარიც,
ვგრძნობდი, რომ რაღაც განსაცდელი მიცდიდა,
მიიღე პარიზო, ჩემი ღრმა სამძიმარი,
ჩემი ღვთისმშობლის წილხვედრი მიწიდან.

ᲨᲝᲗᲐ ᲖᲝᲘᲫᲔ,
ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, 15 ᲐᲠᲘᲚᲘ, 2019 Წ.

ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ!

ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ღვთისმშობლის ტაძარი, აგრეთვე ცნობილი როგორც ნოტრ-დამი ფრანგული გოთიკური არქიტექტურის ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილ ნიმუშად ითვლება. ის ერთ-ერთი პირველი შენობა იყო მსოფლიოში, სადაც ე. წ. მფრინავი საყრდენები გამოიყენეს გუმბათების გასამაგრებლად. მრავალი წლის განმავლობაში ამ საყრდენებს ხარაჩოებს ამსგავსებდნენ, თითქოს მათი დემონტაჟი მშენებლობის დასრულების შემდეგ დავიწყნოდათ, რაც კათედრალს დაუმთავრებელ იერს აძლევდა.

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი კათედრალური ეკლესიაა და აღმართულია კუნძულ სიტეზე. მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა 1163 წელს. ცალკეული ნაწილების მშენებლობა კი XIII საუკუნის შუა წლებამდე გაგრძელდა.

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს აქვს 130 მეტრი სიგრძე, 50 მეტრი სიგანე და 34 მეტრი სიმაღლე. იგი ხუთნავიანი კათედრალური ტაძარია; მთავარი ნავის კვადრატული უჯრდებით, მასიური სვეტებით და მძიმე კედლებით ჯერ კიდევ რომანულ სტილზეა ჩაფიქრებული.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲔᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲜᲝᲢᲠ-ᲓᲐᲛᲘᲡ ᲮᲐᲜᲫᲐᲠᲡ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ გაზეთები პარიზის ნოტრ-დამის ტაძარში მომხდარ ხანძარზე წერენ. ხანძრის ფოტოები ჩანს „გარდიანის“, „დეილი ტელეგრაფის“, „ფაინენშალ ტაიმსის“ , „შარლი ებდოს“ და ა.შ. პირველ გვერდებზე.

ხანძარს გამოეხმაურნენ ცნობილი პოლიტიკოსები და საჯარო პირები. ისინი ძირითადად ტვიტერზე წერდნენ: ტერეზა მეი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი: **„ფიქრით ფრანგ ხალხთან და იმ მაშველებთან ვარ, რომლებიც ნოტრ-დამის საშინელ ხანძარს ებრძვიან“.**

აშშ-ს პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ვარაუდი გამოთქვა, რომ ხანძარს საჰაერო ძალებით უფრო სწრაფად ჩაქრობდნენ. **„საშინელებაა ნოტრ-დამის ხანძრის ყურება“,** — წერდა ის.

მისმა წინამორბედმა ბარაკ ობამამ კი ნოტრ-დამთან გადაღებული ფოტო გამოაქვეყნა: **„ნოტრ-დამი მსოფლიოს ერთ-ერთი საგანძურია.ჩვენ ვფიქრობთ ფრანგ ხალხზე ამ მძიმე წუთებში. ეს ჩვენი ბუნებაა ვწუხდეთ, როცა ვხედავთ, რომ ისტორია იკარგება — მაგრამ ასევე ჩვენი ბუნებაა, აღდგენა ხვალინდელი დღისთვის“,** — დაწერა მან.

ხანძართან დაკავშირებით უკვე შეიქმნა ჩანახატებიც, რომლებზედაც ძირითადად ვიქტორ ჰიუგოს გმირები არიან გამოსახულნი.

ᲠᲐ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲐ ᲮᲐᲜᲫᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ მედია პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ფოტოებს აქვეყნებს. **ფოტოებზე ჩანს, ხანძრის შედეგად ტაძრის რა ნაწილი განადგურდა.**

ხანძრის შედეგად ტაძრის ხის სახურავი მთლიანად დაიწვა, თუმცა მეხანძრეებმა პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის სტრუქტურის სრული განადგურებისგან გადარჩენა შეძლეს. ამასთან, გადარჩენილია მთავარი რელიკვიები — მაცხოვრის ეკლის გვირგვინი და წმინდა ლუის ტუნიკა. საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა განაცხადა, რომ მოვლენების განვითარების ყველაზე ცუდი სცენარი თავიდან იქნა აცილებული და ტაძრის აღსადგენად საჭირო თანხის შესაგროვებლად საერთაშორისო კამპანიის დაწყება დააანონსა. პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის აღდგენაში დახმარების მზადყოფნა გამოთქვა იუნესკომ.

ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲠᲔᲚᲘᲙᲕᲘᲔᲑᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲘᲔᲡᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲔᲙᲚᲘᲡ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘ ᲮᲐᲜᲫᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲐᲠ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ნოტრ-დამის პრესმდივანმა ანდრე ფინომ განაცხადა, რელიკვიები საეკლესიო საცავებში ინახება და მათ არაფერი ემუქრებათ.

„რელიკვიები საეკლესიო საცავში ინახება და იქ ცეცხლის გავრცელების რისკი არ არის“, — განაცხადა ანდრე ფინომ.

ᲞᲘᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲡᲗᲘᲡ 100 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲔᲕᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲤᲡ

ᲤᲠᲐᲜᲒᲘ მილიარდერების — **პინოების ოჯახი პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის აღდგენისთვის 100 მილიონ ევროს გამოყოფს.** ამის შესახებ ინფორმაციას საინფორმაციო სააგენტო „ფრანს-პრესი“ ავრცელებს.

„მამაჩემმა ფრანსუა პინომ და მე გადაწყვეტილება მივიღეთ, კომპანია Artemis-ის ფონდებიდან 100 მილიონი ევრო გამოვყოთ პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის რეკონსტრუქციაზე“, — განაცხადა ფრანსუა-ანრი პინომ. პინოების ოჯახი კომპანიებს Artemis და Kering ფლობს.

ᲡᲐᲢᲘᲠᲐᲚᲘ ᲡᲐᲢᲘᲠᲐ

ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲛᲐ სატირულმა ჟურნალმა Charlie Hebdo-მ გადაწყვიტა, გარეკანი პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს, ემანუელ მაკრონის მიერ გამოცხადებულ რეფორმებსა და გადამწყვეტ ნაბიჯებს დაუთმოს. ჟურნალის გარეკანზე წითელ ფონზე გამოსახულია ემანუელ მაკრონი, რომელიც ბოროტად იღიმის, თავზე კი ცეცხლწაკიდებული ნოტრ-დამი ადგას გვირგვინად.

„მე კარკასიდან ვიწყებ“ — აწერია მაკრონის კარიკატურას.

ᲖᲝᲒᲘ ᲭᲘᲠᲘ ᲛᲐᲠᲒᲔᲑᲔᲚᲘᲐ?..

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲰᲘᲣᲒᲝᲡ რომანი „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ დღეისთვის ამაზონზე ყველაზე გაყიდვადი წიგნი გახდა. მსგავსი ფენომენი დაფიქსირდა 2015 წლის 13 ნოემბრის ტერაქტების დროსაც, მაშინ ერნესტ ჰემინგუეის წიგნი „განუყრელი დღესასწაული“, რომელიც პარიზში მისი ცხოვრების პერიოდს ეხება, წიგნის მაღაზიებიდან მთლიანად გაქრა.

ბოლო მონაცემებით, საქართველოში სათამაშო ინდუსტრიის ბრუნვა 2019 წელს, სავარაუდოდ, მიაღწევს 10 მლრდ. ლარს. პარალელურად იზრდება ამ სექტორის წილი მთლიან ბიზნეს-ბრუნვაში – საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ 2018 წლის ძვეყნის უმსხვილეს 50 კომპანიას შორის 4 წარმოადგენს სწორედ სათამაშო ინდუსტრიას, მათ შორის ერთ-ერთი მე-3 ადგილზეა.

ციფრები ნათლად მეტყველებს ქართული ეკონომიკის უკულმართი განვითარების შესახებ – უმუშევრობა, წარმოების არარსებობა და კადრების დეფიციტი პირდაპირ კავშირშია აზარტული თამაშების პოპულარობასთან. ასევე სწორედ ეს დარგია ჭარბვალიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო.

სათამაშო ბიზნესმა მოსახლეობა ჯერ გააკოტრა, მერე – გამოათაყვანა!

მიუხედავად იმისა რომ, თავად ციფრი – 10 მლრდ. ლარი – უზარმაზარია, ის არ გვაძლევს რეალური სურათს. არავინ არ იცის, ამ 10 მლრდ.-დან რამდენი მოდის უცხოელ ტურისტებზე და რამდენი – ადგილობრივ მოსახლეობაზე. ანუ დღემდე არ გვაქვს ზუსტი პასუხი კითხვაზე, რამდენს ხარჯავენ ქართველები აზარტულ თამაშებზე?

თანაც, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ შემთხვევაში საუბარია მთავრობის მიერ კონტროლირებად სეგმენტზე. ვინ იცის, რამდენი უბედურება ხდება ინტერნეტში, რამდენი ფული მიდის საიტებზე, რომლებიც საერთოდ არ კონტროლდება მაშინაც კი, როდესაც გვაქვს საქმე ადგილობრივ კომპანიებთან?

ხოლო რამდენი ფული მიდის უცხოურ ტოტალიზატორებზე და ონლაინ-კაზინოებში – ვერ გავიგებთ, ძალიანაც რომ მოვინდომოთ.

ასეა თუ ისე, პრობლემის მასშტაბი მეტ-ნაკლებად გასაგებია, აი, გამოსავალი კი არ ჩანს.

პირველ რიგში, საჭიროა პრობლემის სწორი იდენტიფიცირება და გააზრება – რაც ასევე არაა ადვილი საქმე. კერძოდ, არასწორია ის, რომ აზარტული თამაშები საზოგადოებაში აღიქმება როგორც რაღაც ერთიანი სისტემა, რომელიც ან უნდა აიკრძალოს მთლიანად, ან მთლიანად უნდა დარჩეს უცვლელი.

ნებსით თუ უნებლიეთ პოლიტიკოსები, მედია და ექსპერტები ნერგავენ საზოგადოებაში არასწორი არჩევანის განცდას, რომელიც ხელს უშლის პრობლემის მოგვარებას.

ხშირად გავიგონებთ, რომ აზარტული თამაშები ცუდია, თუმცა, ის არის ტურისტული ბიზნესის ნაწილი, რომელიც იზიდავს საქართველოში უცხოელებს, და ეხმარება ქვეყანას ფინანსური პრობლემების დაძლევაში. ხვალ რომ აიკრძალოს აზარტული თამაშები – ქვეყანას იმ წამსვე მოაკლდება ათობით, ან შეიძლება ასობით ათასი ტურისტი.

შესაბამისად, მოსახლეობის ცნობიერებაში დგას უმძიმესი არჩევანი – ან ადამიანების მორალური ჯანმრთელობა და სოციალური სტაბილურობა – ან ტურისტული შემოსავლები.

ერთი შეხედვით, მართლაც ასეა – იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ვუყურებთ სათამაშო ბიზნესს, როგორც ერთიან სისტემას.

სინამდვილეში ეს ალტერნატივა მცდარია – შიდა ქართული სათამაშო უბედურება არაფერ შუაშია საერთაშორისო ტურიზმთან – ეს 2 სეგმენტი არის ცალ-ცალკე, და ერთმანეთთან შეხება აქვთ მხოლოდ სტატისტიკის დონეზე.

უცხოელი ტურისტები თამაშობენ დიდ კაზინოებში, 5-ვარსკლავიან სასტუმროებში. ჩამოდიან, ქირაობენ ნორმებს, აგებენ ათობით ათასებს, და ბრუნდებიან უკან - თურქეთში, ირანში, საუდის არაბეთში, რუსეთში, ან კიდევ სადმე.

ადგილობრივები იქ თითქმის არ შედიან, თუ შედიან – ძირითადად შეძლებულები, რომლებსაც ასევე აქვთ ამის ფუფუნება. ჩვეულებრივი, საშუალო და საშუალოზე დაბალი ფენის წარმომადგენელი იქ არც შევა, და რომც მოინდომოს – არავინ შეუშვებს.

ეს არის მსხვილი, სერიოზული ბიზნესი, რომელსაც ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ თბილისში და ბათუმში ლუქს-კლასის სასტუმროების გახსნას, და არასაზღვაო სეზონში უცხოელი ტურისტების ჩამოსვლას.

ამ სეგმენტის დახურვა ან შეზღუდვა შეუძლებელიცაა და დაუშვებელიც.

გვერდით არსებობს მეორე, პარალელური სამყარო, სწორედ ის, რომელიც სპობს და ანადგურებს საქართველოს მოსახლეობას – ქუჩის სათამაშო სალონები, ტოტალიზატორები და ონლაინ-კაზინოები... აქ არ დადიან უცხოელები, ისინი არ იზიდავენ ტურისტებს, რომელიც აქ ჩამოდიან არა ფულის მოსაგებად, არამედ დროის კარგად გასატარებლად.

გაიარეთ ნებისმიერ სათამაშო სალონთან ან ტოტალიზატორთან, და ვერ დაინახავთ იქ ვერც ერთ ტურისტს, ან უბრალოდ უცხოელს. მათი ძირითადი აუდიტორიაა - საქართველოს ღარიბი ფენა..

ეს წვრილ-წვრილი, მთელი ქვეყნის მასშტაბში, ყველა კუთხეში დაბუდებული ობიექტებია სწორედაც მთავარი პრობლემა, და არა 5-ვარსკალავიანი სასტუმროების გიგანტური კაზინოები.

არაფერს ვამბობ, სრულიად უკონტროლო, თითქმის იატაკქვეშა ონლაინ-კაზინოებზე და ტოტალიზატორებზე, სადაც ვინ და რამდენს ხარჯავს – არავინ იცის.

შესაბამისად, არჩევანი, რომლის წინაშე თითქოს და დგას საქართველო, სინამდვილეში არ არსებობს.

აზარტული თამაშები უცხოელი ტურისტებისთვის **ერთია** გლამურულ სასტუმროებში, მდიდრულ ატმოსფეროში, ყველაზე ძვირ რაიონებში, ქალაქების ცენტრში, და ზღვის სანაპიროზე, **მეორეა** – აზარტული თამაში ადგილობრივი ღარიბი ფენისთვის – მიწისქვეშა გადასასვლელებში, ბინძურ მიწურებში, ჩაბნელებულ ოთახებში, გაცვეთილი მწვანე ხალიჩებით იატაკზე.

პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, სრულიად შესაძლებელია, ერთი დარჩეს ხელშეუხებელი, მეორე კი აიკრძალოს, ან, როგორც მინიმუმ, შეიზღუდოს.

რა თქმა უნდა, არც ეს არის მარტივი საკითხი – ჯერ ერთი, რას უშვებით ონლაინ-თამაშებს? მათი კონტროლი ხომ ბევრად უფრო რთულია, ვიდრე რეალური სლოტ-კლუბის დახურვა.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც პირდაპირ ეხება სამართალდამცავ სტრუქტურებს - ამ ტიპის აზარტული თამაშების შეზღუდვის ან აკრძალვის შემთხვევაში აუცილებლად გაჩნდება შავი ბაზარი – გაცილებით უფრო კრიმინალური, სასტიკი და დაუნდობელი.

თუმცა, ყველა ეს პრობლემა არ ამართლებს უმოქმედობას – ბოლოს და ბოლოს, არ ცდება მხოლოდ ის, ვინც არაფერს არ აკეთებს. მოვიდა დრო, რომ სახელმწიფომ სცადოს მაინც ამ უმწვავესი პრობლემის თუნდაც ნაწილობრივ გადაწყვეტა.

თენგიზ აბლოთია

◎ მეცნიერის გულისტკივილი

საქართველო დაემსგავსა წრიულ გალიაში მცქმუტავ ციყვს!..

მიმართვა „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ საბჭოს წევრებსა და საქართველოს პარლამენტს

1. **პარტიის** პოლიტიკურ ლიდერებს, საქართველოს პარლამენტის კომიტეტების თავმჯდომარეებს და რიგითი წევრების უმრავლესობას მხოლოდ ერთ სფეროში თუ აქვთ ცოდნა (სიღრმისეულ ცოდნაზე მე არ ვსაუბრობ). მათი დიდი უმრავლესობა ძირითადად პირად ინტერესებზე არის ორიენტირებული და არა კონსტიტუციით ხალხის წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე. ხალხის წინაშე ნაკისრ რა ვალდებულებათა შესრულებაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც მათი დიდი უმრავლესობისთვის საერთოდ უცნობია საქართველოს კონსიტუციის მუხლების შინაარსი და, მით უმეტეს, საკონსტიტუციო კანონმდებლობა. არადა პარლამენტი საკანონმდებლო ორგანოა.

პარლამენტის ხელმძღანელობას და პარტიის ლიდერს დღემდე გააზრებული არა აქვთ, რომ XXI საუკუნეში ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის პრიორიტეტულია მეცნიერებისა და ახალი ტექნოლოგიების მიღწევების თანადათანობითი დანერგვა!

ამ დროს საქართველოს პარლამენტს ერთი ავტორიტეტული მეცნიერ-კონსულტანტიც კი არ ჰყავს, და ეს მაშინ, როდესაც დასავლეთის ცივილიზებულ სახელმწიფოთა პარლამენტებში მთელი სამეცნიერო ინსტიტუტები და ცენტრები ფუნქციონირებენ. ასე, მაგალითად, შეერთებული შტატების კონგრესთან 31 სამეცნიერო, ვიმეორებ 31, სამეცნიერო დაწესებულება ფუნქციონირებს.

ამიტომ არის, რომ 29 წელიწადია, საქართველო დაემსგავსა ციყვს წრიულ გალიაში, თანაც ციყვს, რომელსაც ძალა უკვე დაელია.

2. ნატოში და ევროკავშირში საქართველოს გაერთიანება სავსებით მხარდასჭერია, მაგრამ ხელისუფლება არ ითვალისწინებს იმას, რომ ნატო და ევროკავშირი სამხედრო და პოლიტიკური გაერთიანებაა! მათი წესდება არ ითვალისწინებს წევრი სახელმწიფოს მოქალაქეთა სოციალურ და ეკონომიკურ უფლებათა გაუმჯობესებასა და სოციალურ დაცვას.

მოქალაქეთა სოციალურ და ეკონომიკურ უფლებათა გაუმჯობესება და დაცვა მხოლოდ შესაბამისი გაეროს წევრი სახელმწიფოს ხელისუფლების მოვალეობაა.

სხვა უფლებებს რომ თავი დავანებოთ, საქართველოს ხელისუფლების მიერ სრულიად უგულვებელყოფილია:

ა. უფლება დასაქმებაზე;

ბ. უფლება 8-საათიან სამუშაო დღეზე;

გ. თავისუფლება ექსპლოატაციისაგან;

დ. უფლება დახარჯული შრომის შესატყვის ანაზღაურებაზე;

ე. უფლება პენსიის რეალურ საარსებო მინიმუმთან შესაბამისობაზე.

ვაზუსტებ: პენსიის საარსებო მინიმუმთან მკვეთრი შეუსაბამობის პირობებში ყოფნა არის პენსიონერის მიმართ სასტიკი და არაადამიანური მოპყრობის კლასიკური ნიმუში.

3. პარტიის პოლიტიკური ლიდერებისა და საქართველოს პარლამენტის უდარდელობის საილუსტრაციოდ, როგორც მეცნიერი, ერთ ფაქტს მოვიყვან.

სააკაშვილის ბრძანებით და ხუბუას დანაშაულებრივი მოქმედებით 2006 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში ნაწამები, დარბეული და სამუშაოდან დათხოვნილი, მაგრამ 2013 წელს თსუ-ს რექტორის, აკადემიკოს ლადო პაპავას მიერ სამართლიანად აღდგენილი მკვლევარები, 2016 წელს ისევ დაითხოვეს და კვლავ სამათხოვრო პენსიის ამარად დატოვეს.

ამ დროს, თსუ-ს ახალმა რექტორმა 2016 წლის ბოლოს განაცხადა: „ჩემი ამბიციაა, თსუ კვლევით უნივერსიტეტად ვაქციო“. და ეს მაშინ, როდესაც თსუ-ს აკადემიური საბჭოს „თაოსნობით“ თსუ-ს სენატმა 2017 წლის დასაწყისში უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევების წარმოება 2021 წლამდე გადაავადა, ანუ უნივერსიტეტს სამეცნიერო სტანდარტი 2021 წლამდე არ ექნება (შემდეგ რა იქნება, ღმერთმა უწყის). აშკარაა, რომ საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტის ამჟამინდელ რექტორს ხელისუფლებიდან ამ მიმართებით არავითარი მხარდაჭერა არა აქვს.

მეცნიერებისა და ახალი ტექნოლოგიების აღმავლობის პირობებში ბუმბერაზი მკვლევარ-ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი – მკვლევართა გარეშე?!

და მახსენდება ვაჟას ლექსი:

„ცუდი დროება დაგვიდგა,
ძალიან ცუდი დარია,
თაგვები კატებს ახრჩობენ,
ტურამ ლომს ხელი დარია.
ქორი დაქოჩრა ქათამმა,
ომი შეექმნათ ცხარია,
„საგმირო“
საქმეებს სჩადის
ინდაურების გვარია.“
(1906)

ბიძინა სავანელი,
სამართლის უმუშევარი დოქტორი

როინ მეტრეველი – აკადემიკოსი, ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, დიდებული მონოგრაფიების („დავით აღმაშენებელი“, „მეფე თამარი“) ავტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, პირველი ეროვნული უნივერსალური ენციკლოპედიის ფუძემდებელი ირაკლი აბაშიძესთან ერთად. ყველა მისი რეგალია რომ ჩამოვთვალოთ, გაზეთის მთელი გვერდი არ გვეყოფა.

ხოლო, ვისაც აქვს სურვილი, უფრო ღრმად ჩაიხედოს ბატონი როინის ცხოვრება-შემოქმედებით მოღვაწეობაში, ვურჩევდით, საფუძვლიანად გაეცნოს ბატონი ჯაბა სამუშიას ნაშრომს, რომელიც ზედმიწევნით აღრიცხავს და აღწერს დიდი მეცნიერის ნაღვაწ-ნაამაგევს.

მე როგორც ერთ-ერთ რიგით მწერალს, რასაკვირველია, მაინტერესებს, რა მიმართება აქვს ჟამთააღმწერელს დიდ ქართულ კაზმულსიტყვაობასთან, მწერლობასთან, მშობლიურ ენასთან.

როინ მეტრეველი:
ჩვენ წავიდეთ იქით, სადაც სინათლე და სიმართლეა!

ბატონ როინთან საუბარში აღვნიშნე, რომ მე ვწერდი წიგნს სათაურით: „ჩემი რჩეული თანამედროვენი“, რომელიც ეძღვნებოდა ამა თუ იმ დარგისა და სპეციალობის საუკეთესო წარმომადგენლებს: მწერალს – პროზაიკოსს, პოეტს, რეჟისორს, მსახიობს, მხატვარს, სპორტსმენს, არქიტექტორს, კომპოზიტორს...

ამ რკალის ერთ-ერთი წიგნი უკვე გამოვიდა („მურთაზ ხურცილავა“), გამოსაცემად მზად მაქვს „თემურ ჩხეიძე“, „ელდარ შენგელაია“, „ანა კალანდაძე“, „რამაზ ჩხიკვაძე“, „თემურ გოცაძე“.

ეს რომ გავაცანი, ბატონმა როინმა დუმილი არჩია, რაც, ცხადია, უარყოფის ნიშნად მივიღე, თუმცა დუმილზე აღმატებული სიტყვა იშვიათია.

რატომ? – ჩავეკითხე. არც ამ კითხვაზე არ მიპასუხა.

მე ვწერ წიგნს ისეთ ადამიანზე და ისეთ პიროვნებაზე, ვეუბნები, ვინც გამორჩეულია თავის დარგსა და პროფესიაში, ანუ დღეის საქართველოში, ჩემი გაგებით, თქვენ ხართ-მეთქი საუკეთესო ისტორიკოსი.

გასამდა, როგორც იტყვიან, ბატონმა როინმა მესამე შეკითხვაზეც დუმილი არჩია.

გამოვდივარ აკადემიის შენობიდან და თავში მიტრიალებენ ჩვენი დიდი წინაპრების გამონათქვამები: „მე რუსთველსა ლექსს არ ვუდრი, ვით მარგალიტს – ჩალის ძირსა“ (გურამიშვილი).

„პოეტად ვიხსენიები, თუმცა ხარი ვარ ლაბაო, ჩემისთანები ბაგაზე ასი ათასი აბაო“ (ვაჟა-ფშაველა).

და კიდევ ერთი უახლესი გამონათქვამი: „რისი დაწერაც მინდოდა, ვერ დავწერე. რაც დავწერე, ნაგავია. გათავდა პური“ (ოთარ ჭილაძე).

სამივე მათგანი იტყუება, ცხადზე ცხადია, რაც მთელმა საქართველომ იცის.

* * *

ბატონი როინის უთქმელმა პასუხმა შემაგულიანა, უფრო ახლოს გამეცნო მისი შემოქმედება-მოღვაწეობა. ისტორიკოსის მრავალრიცხოვანი ნაშრომიდან ამოვირჩიე რამდენიმე მათგანი: „დავით აღმაშენებელი“, „მეფე თამარი“, „მსოფლიო მეცნიერი ქართული სახლიდან“, „ისტორიზმი ქართული მწერლების შემოქმედებაში“, „აღუვსებელი საწყაული, ანუ ამაოება ამაოებათა“, „დავით აღმაშენებელი და პეტრე პირველი“.

აი, ის ნაწარმოებები, რაზეც ვაპირებ საუბარს ჩემს წიგნში.

* * *

ვიდრე ამ წიგნების გაცნობას შევუდგებოდი, ერთხელ კიდევ ვესაუბრე ბატონ როინს და ვთხოვე, მოკლე სიტყვით დაეხასიათებინა ზოგი მათგანი.

როინ მეტრეველი: – „დავით აღმაშენებლის ტიტულატურაა: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შირვანშა და შაჰანშა... ანუ ტერიტორია ნიკოფსიიდან დარუბანდამდის.“

– ესე იგი დავით აღმაშენებელმა თავად შექმნა ისტორია.

რ.მ.: – როგორც თამარ მეფემ.

– მაშინ რას მივაწეროთ ის, რასაც დიდი ილია ამბობს: „ეს ჩვენი ოხერი ისტორია მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა.“ ბატონო როინ, თავის მოწონებად ნუ ჩამითვლით, მაგრამ მე ერთ ესეიში მთელი მსოფლიოს ისტორიას ღობის ისტორია ვუწოდე. ღობის, მიჯნის, საზღვრის გადაწევა-გადმოწევის ისტორია, რასაც ეხმიანება ერთი ჩემი პატარა ლექსიც:

კართან შიშველი ცაცხვია,
ღობესთან შეშა აწყვია,
ღობეც შეშაა, მახარე,
თუკი ზამთარი მკაცრია.

რ.მ.: – ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ. და არა ღობის მოშლაზე, ღობის გამაგრებაზე უნდა ვიზრუნოთ. ხოლო რაც შეხება ღობის გადაწევა-გადმოწევას, კარგა ხნით ადრე წერდა ჩვენი გენიოსი პოეტი:

„...თვითონ მეფენიც...
შფოთვენ და დრტვინვენ, და იტყვიან:
„როდის იქნება,
ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ და აღიძვრიან
იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ
თვითვე არიან.“

მსგავსი აზრი აქვს გამოთქმული მეორე ახალგაზრდა გენიოსს – ლერმონტოვს.

«Я думал: жалкий человек.
Чего он хочет!.. небо ясно,
Под небом места много всем,
Но беспрестанно и напрасно
Один враждует он – зачем?»

– ასე ამბობს, მაგრამ სამწუხარო ისაა, ამას რომ ამბობს, ტყვიით გატეხილი შაშხანა ხელის ახლოს უდევს და გამორიცხული არაა, მოკლე ხანში სამკვდრო-სასიცოცხლო ომში მოუწიოს ჩაბმა.

რ.მ.: – ასეა, მართლაც, სამწუხაროდ, აქ ალბათ, ბრალი რუსულ იმპერიალიზმს მიუძღვის. ტიუტჩევის განსაზღვრებისა არ იყოს, რუსეთს გონებით ვერ განსჯი... „დემონი“ ხომ გახსოვს? და ის მოკლე დიალოგი, სადაც დემონი და თამარი ცვლიან სიტყვებს ერთმანეთთან:

„Тамара: Нас могут слышать!..
Демон: Мы одне.
Тамара: А бог!“

ხომ გასაკვირია, რომ ამ გენიალური სიტყვების დამწერი ხელჩართულ ომში მიიწევდეს და ხოცვა-ჟლეტის მომხრე იყოს.

– მაშინ ეს როგორ გავიგოთ: „თვითონ სამარეც მევიწროოს, თუ ტოლი მყვანდეს“.

რ.მ.: – ამას პოეტი სხვას ათქმევინებს, ანუ ნაპოლეონს ათქმევინებს, რაც მკითხველებმა უნდა განვსაჯოთ და სწორი დასკვნა გამოვიტანოთ.

– ერთმა ფრანგმა აკადემიკოსმა იმოგზაურა ჩინეთში და თავის მოგონებებში ასეთი ამბავი აქვს აღწერილი. აკადემიკოსს ძლიერ მოეწონა ერთი ჩინელი ბერიკაცის კარ-მიდამო. რა კარგად გაქვთ დამუშავებული მიწა, უთხრა გლეხკაცს, თქვენც ხომ გაქვთ მიწა კარგად დამუშავებულიო, მასპინძელმა, თქვენსავით რიგიანად არა გვაქვს დამუშავებულიო, სტუმარმა. გამიგონია, ერთი დიდი და სახელოვანი მეომარი გყავდათო, მასპინძელმა, თუკი საკუთარი მიწა არა ჰქონია სათანადოდ მოვლილი, სხვათა მიწას რაღად ეტანებოდაო...

ნაპოლეონი იგულისხმება, ცხადია, აკადემიკოსმა იმ საუბრიდან ასეთი დასკვნა გამოიტანა: ეს გლეხი უთუოდ ჩვენზე ჭკვიანიაო.

რ.მ.: – დიდი ილიაც ამავე აზრისაა. მას არ მოსწონდა ომებისა და მეფეების ისტორია, ხალხი არა ჩანსო, წუხდა.

– პარალელები გვეძალება. რატომ გადაწყვიტეთ, ერთმანეთისთვის შეგედარებინათ დავით აღმაშენებელი და პეტრე პირველი?

რ.მ.: – ხლებნიკოვისა არ იყოს, ცნობილია, როგორ უყვარდა მას პარალელების გავლება, ციფრებისა და რიცხვების გამოხმობა და თანხვედრა. რიცხვებმა მიკარნახა, 600-მა წელიწადმა, რაც სიმბოლურად მესახება.

– ჩვენი დიდი პოეტი რეზო ამაშუკელი წერს ერთ-ერთ ლექსში, მერაბ ბერძენიშვილი იერით პეტრე პირველის ალი-კვალიაო.

რ.მ.: – შეიძლება, შორს წაგვიყვანოს, თუმცა პოეტის გამონათქვამი ძალიან სარწმუნოდ მესახება.

– თანამედროვე რუსებს არ უყვართ პეტრე პირველი.

რ.მ.: – არცაა გასაკვირი. ვისაც ევროპა არ უყვარს, პეტრე პირველი არ ეყვარება. დოსტოევსკის საუკეთესო რომანი „იდიოტი“ შემდეგი სიტყვებით მთავრდება: „დრონა, ჭკუას მოვუხმოთ, ეს თქვენი საზღვარგარეთი და ეს თქვენი ევროპა ფანტაზიაა და მეტი არაფერი. გაიგონეთ, რასაც გეუბნებით, დრო მოვა და თვითონ დარწმუნდებით...“

– პუშკინი კი აღმერთებდა პეტრესაც და ევროპასაც. მისი „ბრინჯაოს მხედარი“ ხომ პეტრეს ქება-დიდებაა?

რ.მ.: – პუშკინი პეტრეს მიერ გაჭრილ ღია ფანჯარაში იყურებოდა. დოსტოევსკიმ – მიხურა.

– ჩვენ საით?

რ.მ.:– სადაც სინათლეა და სადაც სიმართლეა. ჩვენ მართლმადიდებელი ერი ვართ, ქრისტეს შობამდე არსებობდნენ ქრისტიანები. მემედ აბაშიძის გამონათქვამია.

– აი, რა აზრი აქვს თანამედროვე რუს მწერალს პეტრე პირველის შესახებ:

„Неоднозначен Первый Петр:
Губил Российский, почем зря народ!“

ჟურნალი „наш современник“, 2017. № 12, გვ. 91

რ.მ.: მსგავს ვითარებაზეა ნათქვამი: კომენტარი ზედმეტიაო.

– ჩვენც ამით მოვრჩეთ.

მურმან ჯგუბურია

დედაუნივერსიტეტში გამოფენა „ბურჯი ეროვნებისა“ გაიხსნა

გვიანი შუა საუკუნეების უნიკალური ხელნაწერი – გელათის გულანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაცული პირველი დისერტაცია – აკაკი შანიძის „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“(1920 წ.), უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთაგან პირველი დაცული დისერტაცია – არნოლდ ჩიქობავას „მარტივი წინადადება ქართულში“, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის ვარიანტები(1978 წ.), მათ შორის, ის პროექტი, რომელმაც ქართველი საზოგადოების საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია, უცხოელ ქართველოლოგთა ნაშრომები, ქართული ენის შესწავლასთან დაკავშირებული წიგნები გამოიფინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გამოფენა, რომლის ორგანიზატორი თსუ ბიბლიოთეკაა, ენის კვირეულის ფარგლებში გაიხსნა. ღონისძიებას თსუ რექტორის მოადგილე ალექსანდრე ცისკარიძე, ენის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი ალიბეგაშვილის, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ნანა გაფრინდაშვილი, სტუდენტები, პროფესორები, სტუმრები ესწრებოდნენ.



„სიმბოლურია, რომ ენის კვირეული იმართება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რადგან სწორედ აქ გაღვივდა ის მუხტი პროტესტისა, რომელმაც საბოლოოდ მიგვიყვანა ჩვენი ენის, ერის გამარჯვებასთან. გამოფენაზე წარმოდგენილია ძალიან საინტერესო ექსპოზიცია, მათ შორის, ის მასალები, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული როგორც უნივერსიტეტის, ისე ქართული სახელმწიფოს ისტორიასთან,“ – აღნიშნა თსუ რექტორის მოადგილემ ალექსანდრე ცისკარიძემ.

„თსუ ბიბლიოთეკის საცავებიდან გამოვფინეთ იშვიათი წიგნები, რომლებიც აჩვენებენ ქართული ენისადმი ჩვენი მეცნიერების დამოკიდებულებას. გამოფენას „ბურჯი ეროვნებისა“ დავარქვით. აქ წარმოდგენილია ცნობილ ენათმეცნიერთა, ასევე, უცხოელ ქართველოლოგთა ნაშრომებიც, რომლებიც ასახავენ ჩვენი ენის სიღრმეს, მრავალფეროვნებასა და სიმდიდრეს,“ – განაცხადა თსუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ზურაბ გაიპარაშვილმა.

◎ მსოფლიოს ყურადღების ცენტრში


თანამედროვე ქალაქი შიმკენტი

ხელისუფლების ტრანზიტის მიუხედავად, ყაზახეთი საინვესტიციო მიმზიდველობას შეინარჩუნებს!

ყაზახეთი კვლავინდებურად იპყრობს მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღებას. ამ უმდიდრესი შუააზიური სახელმწიფოს განვითარებაზეა დამოკიდებული მთელი შუა აზიის მომავალი, კასპიის რეგიონის ჩათვლით. ძვეყანაში პრეზიდენტ ნაზარბაევის ნებაყოფლობითი გადადგომის შემდეგ, მოლოდინის საპირისპიროდ, ახალი არჩევნები – თავისუფალი და დემოკრატიული, ძალზე მალე - 9 ივნისს ჩატარდება. ამასთან დაკავშირებით რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ საქართველოს პარლამენტის წევრს დავით ჭიჭინაძეს, რომელიც ყაზახეთში მუშაობდა და ცხოვრობდა, შესაბამისად, კარგად იცნობს ამ ძვეყანას.

დავით ჭიჭინაძე

– თქვენი ცხოვრების გზა გარკვეულ ეტაპზე გადაიკვეთა ქვეყანასთან, რომლის სახელწოდებაა ყაზახეთი. რას აკეთებდით ყაზახეთში და რა წარმოდგენა დაგრჩათ ყაზახეთის მიწაზე გატარებული პერიოდის შესახებ?

– პირველად ყაზახეთში მოვხვდი 1978 წელს, საფეხბურთო მატჩზე. მაშინ თვითმფრინავითაც საერთოდ პირველად ვიმგზავრე. ალმატიმ ჩემზე ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა, ასევე დიდი შთაბეჭდილება მივიღე მედეოს სპორტული კომპლექსის დათვალიერების შემდეგ. ეს არის მსოფლიოში ყველაზე დიდი მაღალმთიანი, ზამთრის სპორტის სახეობებისთვის განკუთვნილი კომპლექსი, ყველაზე დიდი ხელოვნური ყინულის მოედნით – 10,5 ათასი კვ. მ. 2010 წელს მოხდა ამ კომპლექსის რეკონსტრუქცია.

1980-იანი წლების დასაწყისში ვიყავი ჯეზკაზგანსა და შიმკენტში. განსაკუთრებით მომეწონა შიმკენტი, თანაც ისე, რომ 1987 წელს თბილისიდან იქ წავედი და მთელი 6 წლის მანძილზე ვიცხოვრე. ქალიშვილი იქ შემეძინა. ამ დროს ყალიბდებოდა კოოპერატიული მოძრაობა და მე ბიზნესი წამოვიწყე. ადგილობრივ მოსახლეობასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა და ბევრთან დავმეგობრდი, ყაზახეთში დღემდე მყვანან ახლო მეგობრები, ჩვენ ოჯახებით ვმეგობრობთ და არცთუ იშვიათად ვსტუმრობთ ერთმანეთს.

– რამდენად რთულია ბიზნესის კეთება ყაზახ პარტნიორებთან, არის რამე განსაკუთრებული მომენტები, რომელთა გათვალისწინებაც საჭიროა?

– შიმკენტი უაღრესად ყაზახური ქალაქია, მიუხედავად მისი მოსახლეობის ინტერნაციონალური შემდგენლობისა. ეს არის მეტად დინამიკური ქალაქი. ყველანი მეგობრულად ვცხოვრობდით. იმ ეპოქაში ბევრი გასართობი არ იყო, ასე რომ, ძირითადად, რესტორნებში ვიკრიბებოდით ხოლმე. ასე ვუახლოვდებოდით ერთმანეთს. მთელი პასუხისმგებლობით აღვნიშნავ, რომ არავინ აქცევდა ყურადღებას წარმომავლობას, თუ ვინ რა ეროვნების იყო. ყველანი ვცხოვრობდით ძმურად, ვეხმარებოდით ერთმანეთს, ბიზნესში კი ნდობის ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია. ყაზახები ყოველთვის თავიანთ მოვალეობად მიიჩნევდნენ, შეესრულებინათ დანაპირები ისინი სწორედ ამ პრინციპით ცხოვრობდნენ.

– როგორ აფასებთ საქართველოსა და ყაზახეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დინამიკას? რა ნაკლოვანებებს გამოჰყოფთ, რისი გაუმჯობესებაა საჭირო?

– ვფიქრობ, რომ ორმხრივი ურთიერთობები საქართველოსა და ყაზახეთს შორის დადებითად განაგრძობს განვითარებას. სააკაშვილის რეჟიმისა და შემდგომი ხელისუფლების გამოც, წარმოიშობოდა ეკონომიკური ხასიათის სადავო საკითხები, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ჩვენი ხალხების მეგობრობა და ურთიერთგაგება იმდენად ძლიერია, რომ ყაზახეთთან ჩვენი მეგობრობა არასოდეს დამდგარა ეჭვს ქვეშ, ადგილი არ ჰქონია პოლიტიკურ პრობლემებს. ამაში დიდი წვლილი მიუძღვნის ნურსულთან ნაზარბაევს. ეგრეთ წოდებული „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ნაზარბაევი პირველი მასშტაბური სიდიდის პოლიტიკოსი იყო, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა და ინვესტიციებით სასიცოცხლოდ დაინტერესებულ ქვეყანაში მოიტანა კიდეც იმ დროისათვის წარმოუდგენელი ინვესტიციები... ნაზარბაევმა გამოაცხადა, რომ ყაზახური ბიზნესი საქართველოში 500 მილიონ დოლარს ჩადებდა. ყაზახეთის ინვესტიციებს შორისაა კომპანია KazTransGas, ბათუმის პორტი, ბანკი Halyk BankGeorgia, სასტუმრო Radisson, ნავთობკომპანია Rompetrol. მოგვიანებით, ინვესტიციებმა 800 მილიონ დოლარს მიაღწია, ან, შესაძლოა, სულაც მილიარდ დოლარს. ამ ინვესტიციებიდან ყაზახეთი ყოველთვის არ ელოდა პირდაპირ საფინანსო სარგებელს, ეს განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს და დაფასდეს.

საქართველოში ყაზახეთის საელჩო ძალიან კარგად მუშაობს, იგი წარმოადგენს კეთილგანწყობისა და კომპეტენტურობის მაგალითს. ეს იმის დამადასტურებელია, რომ ყაზახეთს კვლავინდებურად აქვს დაინტერესება საქართველოსადმი, როგორც თავისი პარტნიორისადმი.

– ყაზახეთის საერთაშორისო სტატუსის თქვენეული აღქმა: როგორია ყაზახეთის პოლიტიკური გავლენა რეგიონსა და მსოფლიოში, მისი სამშვიდობო მოღვაწეობის გათვალისწინებით?

– ყაზახეთის მშვიდობისმყოფელობა განსაკუთრებული თემაა, რომელიც მსოფლიო საზოგადოებრიობის მხრიდან პატივისცემას იმსახურებს. ყაზახეთი არაერთი სამშვიდობო მისიის აქტიური მონაწილეა და პარტნიორები დიდი პატივისცემით აღნიშნავენ ამ სახელმწიფოს მიერ შეტანილ წვლილს მშვიდობის განმტკიცებასა და საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში. 2006 წელს დაარსდა ყაზახური სამშვიდობო ბრიგადა „Казбриг“. მოგვიანებით კი ცალკე ჩამოყალიბდა გაერთიანებული მსროლელი ბატალიონი. თავისი არსებობის მანძილზე ყაზახურმა სამშვიდობო ძალებმა მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე მისიაში ტაჯიკეთსა და ერაყში. აღნიშნულ ოპერაციებში დაიღუპა 72 ყაზახი მშვიდობისმყოფელი, რომელთა ნაწილი დაკარგულად მიიჩნევა. სირიის პრობლემასთან დაკავშირებული ასტანის პლატფორმა, ბევრისათვის მოულოდნელად, პოზიტიური სიურპრიზი გამოდგა, რადგან ამ ურთულესი კრიზისის მოგვარების საქმეში სერიოზული წარმატებებია მიღწეული.

– რა გამოცდილების გადმოღება შეიძლება ყაზახეთისაგან საქართველოში ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს გაუმჯობესების მიზნით?

– პირველ რიგში, უნდა დავფიქრდეთ, ჩვენმა დიდმა მეფემ დავით აღმაშენებელმა რატომ დაიახლოვა ყივჩაღები და რატომ დაუნათესავდა სწორედ მათ. რატომ მოუხმო სწორედ მათ საქართველოს დასაცავად და შექმნა რეგულარული არმია. გამოდის, რომ მაშინ უკვე არსებობდა ურთიერთობების გარკვეული ჯაჭვი. ვფიქრობ, რომ ყაზახები იმ ხალხების რიცხვს განეკუთვნებიან, რომლებიც გამოირჩევიან დისციპლინითა და შრომისმოყვარეობით. ესაა წარმატების საფუძველი.

რაც შეეხება ორმხრივ ურთიერთობებს: ყაზახეთი ბუნებრივი რესურსებით უმდიდრესი ქვეყანაა, ჩვენ კი გვაქვს ევროკავშირთან ასოცირება, რის გათვალისწინებით, შესაძლებელია, ერთობლივი საწარმოების შექმნა და ორმხრივი სარგებლის საფუძველზე თანამშრომლობა.

– თქვენი აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ ყაზახეთში შეიცვალა პრეზიდენტი და დაინიშნა ვადამდელი არჩევნები, როგორია? შეინარჩუნებს ყაზახეთი თავის საინვესტიციო მიმზიდველობას ამ ფონზე?

– ნაზარბაევი მთელი ეპოქაა, იგი გახლავთ ცოცხალი ლეგენდარული პიროვნება და, ვისურვებ, რომ ღმერთმა მას კიდევ მრავალი წელი მისცეს თავისი ქვეყნის სასიკეთოდ. თავისი დანაპირების შესაბამისად, იგი ბოლომდე მოემსახურება ხალხსა და სახელმწიფოს, ვისთვისაც მან ასე ბევრი გააკეთა და თავის ჯანმრთელობას არ ზოგავდა. ვფიქრობ, რომ პროცესები დემოკრატიულ კალაპოტში წარიმართება და ყაზახეთი უდიდეს ნაბიჯს გადადგამს თანამედროვე პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების მიმართულებით.

ყველა შემთხვევა ხელისუფლების გადაცემისა არის დემოკრატიული პროცესი, თუკი საუბარი არ გვაქვს ხელისუფლების უკანონო, ძალისმიერ აღებაზე. ყველგან თავისი სპეციფიკა არსებობს. მე ჯერ კიდევ 1989 წლიდან ვაკვირდები ერის ლიდერის ნაზარბაევის პოლიტიკას. ჯერ კიდევ მაშინ იგი სხვა ძლიერი მეურნეებისა და მმართველების ფონზე გამოირჩეოდა. ნაზარბაევი არის ბალანსის დიდოსტატი, რაც აქტუალურია როგორც საერთაშორისო არენაზე, ისე ყაზახური საზოგადოების შიგნით. მე, და არა მარტო მე იგი მიმაჩნია, დენ სიაო-პინის დონის პოლიტიკოსად.

ხელისუფლების ტრანზიტი, პირველ რიგში, იძლევა ხელისუფლების მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფის საშუალებას. ეს კი ძალზე სჭირდება შუა აზიის რეგიონს იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით, იქვეა ძალზე შფოთიანი ზონა, სადაც მრავალი წელია, მიმდინარეობს საბრძოლო მოქმედებები და არსებობს საფრთხე, რომ პრობლემებმა, შესაძლოა, შუა აზიის რეგიონში გადმოინაცვლოს. იქ, როგორც ვფიქრობ, მთავარი პასუხისმგებლობა სტაბილობასა და განვითარებაზე აკისრია ყაზახეთს. მემკვიდრეობითობის პოლიტიკა, როგორც ეს თავის დროზე ჩინეთში იყო, უზრუნველყოფს როგორც ყაზახეთის, ისე მთელი რეგიონის სტაბილურობასა და განვითარებას.

შთამბეჭდავია ყაზახეთის ეკონომიკური განვითარება. ეკონომიკური ზრდის დონე შეიძლება, მსოფლიოს ყველაზე წარმატებულ ქვეყნებს შევუდაროთ. მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფით, ქვეყანას შეუძლია, თავს უფლება მისცეს, გადაერთოს სოციალური პროექტების განხორციელებაზე. თვით პრეზიდენტის გადადგომაც ვერ მოახდენს ცუდ გავლენას შესანიშნავ საინვესტიციო კლიმატზე. ყაზახეთში ბიზნესის კეთება არ შეიცავს განსაკუთრებულ რისკებს, რადგან ქვეყანამ დაამტკიცა საკუთარი სტაბილურობა. მეტიც, ვინაიდან ყაზახეთი მეზობელი ქვეყნებიდან იზიდავს სამუშაო ძალას, ამ გზით მას სტაბილურობა და სიმშვიდე თავის სამეზობლოშიც გადააქვს. ხელისუფლების ტრანზიტი მიმდინარეობს დემოკრატიულად, სავსებით თავისუფალი საარჩევნო პროცესისა და აბსოლუტურად მშვიდი პოლიტიკური ატმოსფეროს ფარგლებში. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ პრეზიდენტს ძლიერი სახალხო მხარდაჭერა ექნება.

გულბაათ რცხილაძე

საქართველოში ტურიზმის საერთაშორისო კოლეჯი გაიხსნება

საქართველოში ტურიზმის საერთაშორისო კოლეჯის გახსნა იგეგმება, სადაც სასტუმრო, სარესტორნო და კულინარიული ბიზნესის ძირითად პროფესიებს ასწავლიან. შესაბამის მემორანდუმს ხელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი ქობულია, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მარიამ ქვრივიშვილი და შპს „მაკინერნი ჰოსპიტალიტი ინტერნეშენალ ჯორჯიას“ დირექტორი მაია წერეთელი მოაწერენ. ღონისძიება 16 აპრილს 15.00 საათზე სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ გაიმართება.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მიზანია ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და მომსახურების სფეროს გაუმჯობესება 2015-2025 წლების ტურიზმის ეროვნულ სტრატეგიასთან შესაბამისობით.

კოლეჯში სასწავლო კურსები ქართულ და ინგლისურ ენებზე გაიმართება. აშშ-ის სასტუმროებისა და განთავსების ასოციაციის სასწავლო ინსტიტუტის (**AHLEI**) სერთიფიცირებული კურსებისა და ევროპის წამყვანი ტურიზმის სკოლების კურსების მიხედვით შემუშავდება სპეციალური სასწავლო პროგრამა. **GNTA**-სთან მჭიდრო თანამშრომლობით კოლეჯისთვის ვებ-გვერდი შეიქმნება.

გლეხისთვის დამატებითი შემოსავლის წყარო

საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოში მეაბრეშუმეობის შენარჩუნებასა და განვითარებაზე მსჯელობს

წლეულს, 7-12 აპრილს, ქ. ბათუმში, სასტუმრო „ინტურისტ ბათუმი ჰოტელში“ ჩატარდა შავი, კასპიის ზღვებისა და ცენტრალური აზიის მეაბრეშუმეობის ასოციაციის (BACSA) მე-9 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „მეაბრეშუმეობის შენარჩუნება და განვითარება, პრობლემები და პერსპექტივები“.

აღნიშნული ორგანიზაცია ჩამოყალიბდა 2005 წელს და მასში საქართველოსთან ერთად გაერთიანებული იყო 9 ქვეყანა, ხოლო დღეისთვის 20 ქვეყანას აერთიანებს, რომლებიც წარმატებით მუშაობენ თავის ქვეყნებში მეაბრეშუმეობის განვითარების მიმართულებით.

მეაბრეშუმეობის ქვეშ იგულისხმება თუთის ნარგაობის მოშენება, აბრეშუმის გრენის წარმოება, შენახვა-გაცოცხლება, ჭიის გამოკვება, პარკის მოყვანა, დამზადება, პირველადი დამუშავება-შენახვა-რეალიზაცია. უფრო მარტივად, რომ ვთქვათ მეაბრეშუმეობა, როგორც სოფლის მეურნეობის დარგი, გულისხმობს იმ რთულ კომპლექსთა ერთობლიობას, რომელიც განაპირობებს აბრეშუმის პარკის წარმოებას.

BACSA-ში გაერთიანებული ორგანიზაციები დღეისათვის გარკვეულ პრობლემებს განიცდიან. პრობლემები მდგომარეობს იმაში, რომ მსოფლიო მეაბრეშუმეობის ბაზარი დაპყრობილი აქვს ჩინეთს და ნაწილობრივ ინდოეთს. ჩინეთი დღეისათვის მსოფლიო მეაბრეშუმეობის 82 %-მდე პროდუქციას ამზადებს, რომლის ნახევარს იგი თავის შიდა ბაზარზე მოიხმარს, ხოლო მეორე ნახევარი მსოფლიო ბაზარზე გააქვს.

სწორედ მსოფლიო ბაზარზე გარკვეული ადგილის დასაკავებლად შეიქმნა ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციაც, რომლის წევრები ცდილობენ, გარკვეული წვლილი შეიტანონ მსოფლიო მეაბრეშუმეობის განვითარებაში, პირველ რიგში, წარმატებით განავითარონ მეაბრეშუმეობის დარგი თავის ქვეყნებში და ნაწილი პროდუქციისა გაიტანონ მსოფლიო ბაზარზე. მათ რიცხვს მიეკუთვნება საქართველოს მეაბრეშუმეობაც. იგი შეიძლება ითქვას, ნულიდან იწყებს დარგის აღორძინებასა და განვითარებას, რომელიც მონატრებული აქვს საქართველოს მოსახლეობას, ვინაიდან იგი მათი ოჯახებისთვის დამატებითი შემოსავლების საუკეთესო წყარო იყო.

კონფერენციის ორგანიზატორი BACSA-სთან ერთად იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, რომელმაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კავშირში დიდი სამუშაო გასწია, რათა კონფერენცია წარმატებით ჩატარებულიყო და შესაბამისი გადაწყვეტილებები მიეღო.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ BACSA-ს წევრი ქვეყნები – საქართველო, ბულგარეთი, რუმინეთი, თურქეთი, პოლონეთი, იტალია, ტაჯიკეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, აგრეთვე მოწვეული სტუმრები ჩინეთიდან და ინდოეთიდან. აღსანიშნავია, რომ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა გაეროს კომისარი მეაბრეშუმეობის მიმართულებით დოქტ. დილიიპ კუმარი (ინდოეთი).



კონფერენციას მიესალმნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე და აჭარის ავტონომიური რეაპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ტიტე არაშიძე.

BACSA-ს პრეზიდენტის, პროფ. პანომირ ცენოვის (ბულგარეთი) საანგარიშო მოხსენებაში მკაფიოდ გაშუქდა ისეთი საკითხები, როგორიცაა მეაბრეშუმეობის ინდუსტრიის სტატუსი და განვითარების ტენდენციები დღევანდელ მსოფლიოში, მეაბრეშუმეობის განვითარების ძირითადი ხელშემშლელი პირობები, ბაზარი და პროდუქციის წარმოების ძირითადი მიმართულებები, გასათვალისწინებელი კრიტიკული ფაქტორები და დაბრკოლებები, მეაბრეშუმეობის წარმატებული განვითარების მაგალითები, საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობა და ტრეინინგი, BACSA-ს რეგიონალური კოოპერაციის ძირითადი პრინციპები და თანამშრომლობა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ტრანსფერის, განათლებისა და ტრეინინგის მიმართულებით.

კონფერენციაზე სულ წარმოდგენილი იყო 46 მოხსენება, მათ შორის, საქართველოდან 7 ძირითადი და 8 სტენდური მოხსენებები. საქართველოს მეაბრეშუმეობის შესახებ კონფერენციაზე გამოვიდა BACSA-ს კოორდინატორი საქართველოში, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკად. ელგუჯა შაფაქიძე, რომელმაც ისაუბრა საქართველოს მეაბრეშუმეობის დღევანდელ მდგომარეობაზე და იმ პრობლემებზე, რომელიც დღეისთვის შექმნილია საქართველოს მეაბრეშუმეობაში, აგრეთვე პერსპექტივებზე, რომელიც დასახულია აკადემიისა და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მეაბრეშუმეობის აღდგენისა და განვითარების პროექტებში.

კონფერენციაზე იმსჯელეს BACSA-ს სამომავლო პერსპექტივებზე, სადაც გამოიკვეთა ორგანული მეაბრეშუმეობის როლი ბიოლოგიური სოფლის მეურნეობისა და ორგანული ტექსტილის კონტექსტში, შემუშავდა რეკომენდაციები ორგანული აბრეშუმის წარმოების განვითარებისათვის, წამოაყენეს წინადადებები მსოფლიო მეაბრეშუმეობის სამომავლო პერსპექტივებზე და BACSA-ს წევრი ქვეყნების რეგიონალური თანამშრომლობის როლის შესახებ.

კონფერენციის წარმატებით ჩატარებისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად დიდი საორგანიზაციო სამუშაოები ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მინისტრის ტიტე არაშიძისა და მინისტრის პირველი მოადგილის მამუკა თურმანიძის ხელმძღვანელობით, კონფერენციაზე წარმატებით ითანამშრომლეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის, აჭარისა და ქვეყნის რეგიონების მეაბრეშუმეებმა, რაც უპირველესად საქართველოს მეაბრეშუმეობის სამომავლო პერსპექტივებისათვის არის მნიშვნელოვანი.

გივი ჯაფარიძე,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი;
ელგუჯა შაფაქიძე,
აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი.

გაზიფიცირების დაგეგმილი მაჩვენებელი ჩვენისთანა ლანდშაფტის მქონე ქვეყნისთვის ევროპული მასშტაბითაც უპრეცედენტოდ მაღალია

ეკონომიკის მინისტრის მოადგილის ნათია თურნავას განცხადებით, საქართველოს მთავრობა ენერგომომხმარებლის დაცვისთვის ძალიან ბევრ რამეს აკეთებს, მათ შორის იმ შეღავათებით, რომლებიც მომხმარებლის რამდენიმე კატეგორიას ეხება.

„სულ ბოლო გადაწყვეტილებებს შეგახსენებთ – 2019 წლის დასაწყისში ბუნებრივი აირის ტარიფების თვალსაზრისით საკმაოდ რთული და უპრეცედენტო გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომლის მიხედვით მოსახლეობის ყველა კატეგორიისთვის გაზის ტარიფები დარჩა უცვლელი იმის გამო, რომ მოხდა ამ ტარიფების მოსალოდნელი ზრდის სუბსიდირება ნავთობისა და გაზის სახელმწიფო კომპანიის რესურსებით. ამასთანავე, აქტიურად ვახორციელებთ გაზიფიცირების პროგრამას, რომლის შედეგად ქვეყნის დაახლოებით 85 პროცენტი იქნება გაზიფიცირებული, რაც ჩვენისთანა ლანდშაფტის მქონე ქვეყნისთვის ევროპული მასშტაბითაც უპრეცედენტოდ მაღალი მაჩვენებელია“ – აღნიშნა თურნავამ.

მისი თქმით, მთავრობა ვალდებულია, რომ ის სიკეთე, როგორიც არის ბუნებრივი აირი და სითბო, შეიტანოს იმ ოჯახებსა და დასახლებულ პუნქტებშიც, რომლებიც გეოგრაფიულად არ არიან ახლოს ცენტრალურ მაგისტრალებთან. **„ეს არის ის ინვესტიცია, რომელსაც სახელმწიფო თავისი ბიუჯეტიდან ახორციელებს, ეს არის ინვესტიცია, რომელსაც ახორციელებენ გამანაწილებელი კერძო კომპანიები და ეს ყველაფერი უნდა გაკეთდეს ისე, რომ თან გაზიფიცირება მოხდეს და თან ეს მტკივნეულად არ აისახოს მომხმარებლის ჯიბესა და ტარიფებზე“,** – განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

ვამაყობთ, რომ ბათუმი, აჭარა შავი ზღვის ქვეყნებში გამორჩეული საინვესტიციო ცენტრი გახდა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე პრაღაში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის 10 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კონფერენციას დაესწრო და პანელ-დისკუსიაზე „სავაჭრო და ეკონომიკური დაახლოება ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორებს შორის“ სიტყვით გამოვიდა.

თორნიკე რიჟვაძემ სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა ეკონომიკურ რეფორმებსა და აჭარის ეკონომიკური განვითარების ძირითად პრიორიტეტებზე, რომელ სფეროებშიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი ყოველწლიურად იზრდება.

„სწორედ ეკონომიკური რეფორმების შედეგია ის, რომ საქართველომ ისეთ საერთაშორისო რეიტინგებში, როგორიცაა Doing Business Ease, Index of Economic Freedom და Tich Ratings, შთამბეჭდავი ადგილი დაიკავა. ჩვენ ვამაყობთ, რომ ბათუმი, აჭარა შავი ზღვის ქვეყნებში გამორჩეული საინვესტიციო ცენტრი გახდა. ჩეხეთი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი ინვესტორია, ისევე როგორც ნორვეგია, ინდოეთი და თურქეთი. განსაკუთრებით გამოვყოფდი ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ქართულ-ჩეხურ-სლოვაკურ ერთობლივ საინვესტიციო პროექტს – Green Resorts ქობულეთში, რომელსაც ახლახან ჩაეყარა საფუძველი“, – აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ თავის გამოსვლაში.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე, რომელიც ქართულ კომპანიებს სთავაზობს ევროპის ბაზრებზე ხელმისაწვდომობას. ასევე, ტურიზმის სექტორის განვითარებაზე, პერსპექტივებსა და აჭარის რეგიონის პოტენციალზე. აღმოსავლეთ პარტნიორობა 2009 წლის 7 მაისს ევროკავშირის სამიტზე შეიქმნა, რომელიც ევროპის კომისიის, ევროკავშირის წევრი ქვეყნების და 6 აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნის: სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელარუსის, საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის ერთობლივი ინიციატივაა. მისი მიზანია ევროკავშირის პოლიტიკასთან ინტეგრაცია და დაახლოება, ენერგოუსაფრთხოების გაუმჯობესება, დემოკრატიისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა, ხალხთაშორისი კონტაქტები. აღმოსავლეთ პარტნიორობა ასევე ფოკუსირებას ახდენს ვიზა ლიბერალიზაციისა და ევროკავშირის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების შესრულებაზე.

◎ თაობა

გაზაფხულის 17 გაელვება...



კვიპროსის ქალაქ ლიმასოლში გამართულ ევროპის პირველობაზე ჭაბუკთა, ახალგაზრდებსა და გოგონებს შორის ქართველმა სამბისტებმა წარმატებით იასპარეზეს და ჯამში 17 მედალი მოიპოვეს: 3 „ოქრო“, 8 „ვერცხლი“ და 6 „ბრინჯაო“.

„ოქრო“: გაგა ბახტიძე (-68 კგ.), თორნიკე გვიჭიანი (-74 კგ.), კობა აკოფაშვილი (-70 კგ.);

„ვერცხლი“: ანზორ სიდამონიძე (-52 კგ.), ვიტალი კაკუტია (-56 კგ.), ელიზბარ თურქია (-60 კგ.), გიორგი ჩაგელიშვილი (-87 კგ.), საბა ინანეიშვილი (+87 კგ.), მარიამ ცერცვაძე -(+80 კგ.), ომარ საური (-100 კგ.), ლევან ცარელაშვილი (+100 კგ.);

„ბრინჯაო“: გიორგი მეხრიშვილი (-48 კგ.), გოგა ვარდოსანიძე (-52 კგ.), ვახტანგ თაბარუკაშვილი (-75კგ.), გიორგი შერაზადიშვილი (-81კგ.), დიმიტრი კობური (-82 კგ.), გოჩა ღვაჩლიანი (-90 კგ.).

კობა კობახიძე

◎ ლეგიონერი

კასტილიის ჩემპიონიც გვყავს

საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების მცველი რატი ანდრონიკაშვილი 18-წლამდელთა შორის კასტილიის ჩემპიონი გახდა. ესპანეთის უმაღლესი ლიგის კლუბ „სან პაბლო ბურგოსის“ საკუთრება, რომელიც რანგით მე-4 ლიგის გუნდ „მიროფლორესშია“ განათხოვრებული, ასაკობრივ ჩემპიონატს ძირითად გუნდში თამაშობს. კასტილიის ჩემპიონატის ფინალში „ბურგოსი“ „ლეონ ბასკეტს“ დაუპირისპირდა და 76:69 დაიმარჯვა.

ქართველი უკანასკნელი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 30 წუთში 12 ქულა, 5 მოხსნა, 5 პასი, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა. რატიმ 7-დან 3 ორქულიანი და 3-დან 2 სამიანი ჩააგდო. 17 ქულით და 21 მოხსნით ბურგოსელებს ალბერტო ალონსომ ულიდერა.

„ბურგოსის“ 18-წლამდელთა გუნდს ქვეყნის პირველობის ფინალურ ეტაპზე მოუწევს ასპარეზობა, სადაც ამ ქვეყნის ყველა რეგიონის გამარჯვებულები შეიკრიბებიან და ამ ასაკში ესპანეთის აბსოლუტურ ჩემპიონს გამოავლენენ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ მეზობლებთან

შესანიშნავი შვიდეული

თურქულ ანტალიაში ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი „გამარჯვების თასი“ გაიმართა, სადაც საქართველოს ნაკრებებმა 7 მედალი მოიპოვეს.

ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეს-სამსახურის ცნობით, „კლასიკოსთაგან“ ჩემპიონები ბექა ქობულაძე (80 კგ.) და მათე გოქაძე (110 კგ.) გახდნენ, ხოლო ბრინჯაოს მედლები ხვიჩა აბულაძემ (48 კგ.), თორნიკე სოლომონიძემ (51 კგ.) და დათა ჩხაიძემ (71 კგ.) დაიმსახურეს.

„თავისუფალთაგან“ ტურნირის ვიცე-ჩემპიონი დავით კოღუაშვილი (80 კგ.) გახდა, მესამე საპრიზო ადგილს კი დავით ფაცინაშვილი (65 კგ.) დასჯერდა.



ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანების (UWW) ეგიდით მოწყობილ ასპარეზობაში მონაწილეობა ყაზახეთის, ბელგიის, აზერბაიჯანის, უნგრეთის, ყირგიზეთის, რუმინეთის, ირანის, მოლდოვას, ბულგარეთის, ესტონეთის, საქართველოსა და მასპინძელთა ნაკრებებმა მიიღეს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ვითომ?

„ფერგის“ აზრით

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი, ლეგენდარული ალექს ფერგიუსონი მიიჩნევს, რომ მიმდინარე პრემიერლიგას „ლივერპული“ მოიგებს. ამის შესახებ ჟურნალისტებს „ბარნლის“ ექს-თავდამსხმელმა ჯონათან უოლტერსმა განუცხადა.

„ფილ ბერდსლის ვესაუბრე. მითხრა, რომ ფერგიუსონის გვერდით იჯდა ტრიბუნაზე და სერ ალექსმა ივარაუდა, რომ წლეულს ჩემპიონი „ლივერპული“ გახდება, რადგან „სიტის“ „მანჩესტერთან“ აქვს შეხვედრა დარჩენილი და „იუნაიტედი“ აუცილებლად დააკარგვინებს ქულებს „ქალაქელებს.“ — ციტირებს უოლტერსის სიტყვებს BBC.



დღეისათვის პრემიერლიგას 85 ქულით „ლივერპული“ ლიდერობს, ხოლო „სიტის“ ორი ქულით და ერთი თამაშით ნაკლები აქვს.

გიორგი შოთაძე

◎ 64

დაფაზე დაუხედავად...

ალექსანდრ სარიჩევი (1909-1986), საერთაშორისო ოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში (1979), დაიბადა ლენინგრადის ოლქის ქალაქ პუშკინოში. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბაქოში. პროფესიით პედაგოგი გახლდათ.

1926 წლიდან გამოაქვეყნა 100-ზე მეტი ეტიუდი და 10 ამოცანა. მათგან 50 აღინიშნა ჯილდოებით, მათ შორის

რ. რეტი
1921



ყაიმი

ცნობილი ეტიუდის მიხედვით „თუ ორ კურდღელს გაედევნები — ერთს დაიჭერ“

1. მფc8!!, b5 2. მფd7, d4 3. მფd6!, ჯf5 4. მფe5, kc8 5. მფd4 და ყაიმი

ა. და კ. სარიჩევები
1928



ყაიმი

თუ ერთ კურდღელს კარგად გაედევნები მასაც დაიჭერ?

1. ...h5 2. მფg7, h4 3. მფf6!, h3 4. მფe6, h2 5. c7 და ყაიმი

9 — პირველი პრიზით.

მისი ეტიუდების სტილი პრაქტიკული მნიშვნელობისაა; გამოირჩევა რაციონალიზმით და დახვეწილი ტექნიკით, რაც გვირგვინდება ორიგინალური ფინალით. კოლექტიური ეტიუდები შედგენილი აქვს ძმასთან — კირილთან ერთად. 1985 წელს გამოსცა წიგნი „საჭადრაკო კომპოზიცია აზერბაიჯანში“.

გთავაზობთ ჩეხი დიდოსტატის რიხარდ რეტის თეორიული იდეის მიხედვით შექმნილ ბრწყინვალე კომპოზიციას, რომელმაც მაღალმხატვრული განსახიერება ჰპოვა ძმების — ალექსანდრ და კირილ სარიჩევების შემოქმედებაში.

აღსანიშნავია იშვიათი სილამაზის მანევრის პირველი სვლა, რაც გვახსენებს გალაკტიონის ფრთიან გამონათქვამს: „ჭადრაკი მხოლოდ ხელოვნებაა, აქაც ყოფილა პოეზია“.

მოამზადა
თამაზ შენგელია

◎ ინტერნეტიდან

როდემდე დამალავენ?!

გერმანელი მეკარე ლორის კარიუსი ნამეტნავად ბენტერა და მორიდებული კაცი უნდა იყოს, თორემ მის ადგილზე სხვა ნებისმიერი ცნობილი ფეხბურთელი ერთხელ კი არა, ბარე ათასჯერ მაინც გამომამზეურებდა თავის მართლაც რომ მომხიბვლელ გულისსწორს, ამერიკელ მოდელ დანიელა გრეისს.

მათ შორის გაჩენილ სასიყვარულო ძაფებს ყურადღება ევროპისა და ამერიკის ბულვარულმა მედიამ ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულში მიაქცია, თუმცა, მთელი ეს ბოლო თვეებია, ამ თემაზე არათუ არ საუბრობენ, ვგონებთ, საერთოდ გაუთქმელობის აღთქმა აქვთ დადებული.



დანიელა გრეისი, როგორც ჭეშმარიტ მოდელს შეშვენის, ოფიციალურად აცხადებს, რომ გათხოვება მის უახლოეს გეგმებში არ შედის და ამ ასულის მთელი დრო და ენერგია კარიერული წინსვლისკენაა მიმართული. თუმცა, გათხოვება სულაც არ სჭირდება იმას, რასაც ბულვარული პრესა, ჩვენ და ლორის კარიუსი ვგულისხმობთ...

ბეჟან დოლიძე

კერძო მიწების ნაწილს მერიამ რეკრეაციული ზონის სტატუსი მიანიჭა

თბილისის ახალ გენგეგმაში 3 მილიონამდე კვ.მ. ტერიტორიას, რომელიც კერძო საკუთრებაშია, რეკრეაციული ზონის სტატუსი მიენიჭა. მეპატრონეები ამ მიწებს თავისი შეხედულებისამებრ ვეღარ გამოიყენებენ. მერია ირწმუნება, რომ დაზარალებულებს მიწებს სხვაგან მისცემენ.

რეკრეაციული ზონის სტატუსი ნიშნავს, რომ ამ ტერიტორიაზე ვერაფერს ააშენებ. მიწების ნაწილი, რომელზეც მეპატრონეებს გარკვეული გეგმები ჰქონდათ, ახლა შეცვლილი სტატუსითაა. ასეთი მიწები მთელი თბილისის მასშტაბითაა გაფანტული.



„საკუთრებაში კვლავ ექნება, მაგრამ შეიძლება განაშენიანება აეკრძალოს, ან სადაც უკვე არის განაშენიანება — მისი განვითარება, მაგალითად, გაფართოებას ვერ შეძლებს“, — ამბობს გენგეგმის ერთ-ერთი ავტორი, ექსპერტი მამუკა სალუქვაძე.

თბილისი ვიცე-მერი ირაკლი ხმალაძე აცხადებს, რომ თავის დროზე ეს მიწები არასწორად გაიყიდა, ახლა კი ის სტატუსი დაუბრუნეს, რომელიც სინამდვილეში უნდა ჰქონოდა. რაც შეეხებათ დაზარალებულებს, მერია, პირველ რიგში, შეეცდება მათ მიწები სხვა ადგილას გამოუყოს. თუმცა, თბილისში თავისუფალი მიწა ცოტაა.

ვიცე-მერი ამბობს, რომ გარკვეულ ტერიტორიებზე, სადაც ამჯერად თავისუფალი მიწებია განაშენიანების გეგმებს დაამტკიცებენ. ინფრასტრუქტურას მოაწყობენ ისე, რომ ამ ტერიტორიების ფასმა აიწიოს. ამის შემდეგ ამ მიწებს შესთავაზებენ დაზარალებულებს.

თუ თავისუფალი მიწების ფონდი ამოიწურა, სახელმწიფო ფულად კომპენსაციაზე დაიწყებს ფიქრს. თუმცა, წლევანდელ ბიუჯეტში ამაზე თანხა გათვალისწინებული არ არის.

ასევე შესაძლებელია, გადაიხედოს კონკრეტული მიწის სტატუსი და მას ძველი ფუნქცია დაუბრუნდეს.

პროცედურა ასეთია: პირი, რომელიც გაარკვევს, რომ მის მიწის ნაკვეთს სტატუსი შეეცვალა, მერიას მიმართავს. ამის შემდეგ მას უკავშირდება ქონების მართვის სამსახური. მიწის ნაკვეთს შეაფასებენ (ძირითადად ამას აკეთებს სამხარაულის ექსპერტიზის ბიურო). შემდეგ პირს შესთავაზებენ ამავე ღირებულების მიწის ნაკვეთებს, რომლიდანაც შეეძლება, მისთვის მისაღები აირჩიოს. მიწის სტატუსის გარკვევა კი შეიძლება საკადასტრო კოდის საშუალებით ამ საიტზე:

აღნიშნულ პრობლემას გამოეხმაურა ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძეც. იგი აცხადებს, რომ მერიამ დაზარალებულებისთვის სხვადასხვა ალტერნატივა უნდა მოიფიქროს, რათა არ შეილახოს მათი სამეწარმეო ინტერესები და შეუფერხებლად განაგრძონ ბიზნესსაქმიანობა.

თეა თოფურია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და „ქართული ენის თესაურუსის“ კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მიხეილ ქავთარია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მარმარიდან - ყარსში, შემდეგ - თბილისში და ბოლოს - ბაქოში

თურქული **გამოცემის, „Hurriyet“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში აღწერილია პირველი სამგზავრო მატარებლის მისვლა ყარსში ბოსფორიდან (მარმარიდან), რომელიც აზერბაიჯანის დაკვეთით არის აგებული შვეიცარიაში და ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზისთვისაა განკუთვნილი.**

პირველი საერთაშორისო მატარებლის პირველი საპატიო მგზავრები იყვნენ ახლადშეუღლებული სიძე-პატარძალი, რომლებმაც ყარსის რკინიგზის სადგურზე სამახსოვრო ფოტოსურათები გადაიღეს და თოვლის და ქარის მიუხედავად, მაინც ბედნიერები იყვნენ.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ვაგონები დამზადებულია თურქეთისა და საქართველო-აზერბაიჯანის რკინიგზების ტექნიკური მდგომარეობის გათვალისწინებით (მხედველობაშია სხვაობა ლიანდაგის რელსებს შორის დაშორებაში) და ამიტომ თურქეთ-საქართველოს საზღვრის გადაკვეთის დროს მატარებელი არ დაყოვნდება.

პირველი საერთაშორისო მატარებელი მოძრაობას ყარსიდან თბილისისკენ გააგრძელებს და ბაქოში დაასრულებს.

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიზის ექსპლოატაცია საშუალებას იძლევა მატარებლებმა თურქული ყარსისა და მარმარის გავლით პეკინიდან და ლონდონიდან იმოძრაონ ორივე მიმართულებით.

ისევ უწყვეტი წყალმომარაგების მოლოდინში

ქუთაისის 24-საათიანი წყალმომარაგებისთვის მიმდინარე სამუშაოები დათქმულ ვადაში კვლავ ვერ დასრულდება. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ინფორმაციით, პროექტი მიმდინარე წლის პირველი ნახევრის ნაცვლად წლის ბოლოს დასრულდება. ქუთაისის წყალმომარაგების სისტემის რეკონსტრუქციის პირველი ეტაპი 2009 წელს, მეორე კი 2015 წელს დაიწყო და ბოლო ინფორმაციით, ამ გაზაფხულზე უნდა დასრულებულიყო. თითქმის ათწლიანი სამუშაოების შედეგად 24-საათიანი წყალმომარაგება აქვს ქალაქის მხოლოდ 20%-ს. ქუთაისის დანარჩენ ნაწილს წყალი კვლავ სხვადასხვა გრაფიკით მიეწოდება. სამუშაოების დასრულების ვადის კიდევ ერთხელ გადაწევამ ქუთაისელების უკმაყოფილება გამოიწვია.

ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში — გორაზე მცხოვრები თამარ მახვილაძე, რომელიც გრაფიკის გამო წყალს იმარაგებს და ეკონომიურად მოიხმარს, ამბობს, რომ უწყვეტ წყალმომარაგებას ათი წელია, უშედეგოდ ელოდებიან: **„ყოველ დილით ვავსებ ავზს და სხვა ჭურჭლებს, რომ დღის განმავლობაში დასალევი წყალი გვქონდეს და მეორე დილამდე გვეყოს“.**

ქუთაისის 24-საათიანი წყალმომარაგების პროექტის დასრულების ვადის გახანგრძლივებით უკმაყოფილოა აღმაშენებლის გამზირზე მდებარე მრავალსართულიანი კორპუსის მცხოვრები ნათელა პაიჭაძეც: **„მეთერთმეტე სართულზე ვცხოვრობ, საღამოს 7 საათზე მოდის წყალი სამი საათით, მაგრამ 2 ლარის წყალს მოვიხმარ და 10 ლარისას დენს, რადგან წყალს საქაჩით ვიღებ და თან გრაფიკით“.**

ქუთაისელთა ნაწილი უკმაყოფილოა იმითაც, რომ წყალმომარაგების სისტემის რეკონსტრუქციისას ახალ ქსელზე გადართვის გამო ძველი მილების გადაჭრა პრობლემებს იწვევს. სულხან-საბას გამზირზე მცხოვრებთა ინფორმაციით, ცენტრალური მილების გამოცვლის შემდეგ სარდაფები ეტბორებათ:

„ვიდრე ახალ ქსელზე გადაგვრთავდნენ, სარდაფში წყალი არ დგებოდა, გადაჭრეს ძველი მილი და გაურჭვეს პალო. ეს შეაჩერებდა წყალს? ძველი მილები 32 წლისაა და კოროზირებული და დაზიანებულია, დროულად თუ არ გააკეთეს, ერთ წელიწადში დაგვეშლება კორპუსი. წყალი დგას სარდაფში 30 სმ-ზე და ნესტია პირველ სართულის ბინებში, დაგვიზიანდა იატაკი და კედლები. საძირკველს არ ექმნება საფრთხე?“

ქუთაისის გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში ამბობენ, რომ მრავალბინიანი კორპუსების სარდაფების დატბორვას იწვევს ძველი და ამორტიზებული ქსელი და სწორედ მისი რეკონსტრუქციის აუცილებლობის გამო გახანგრძლივდა თავად პროექტიც. კომპანიის სერვის-ცენტრის დირექტორის ბექა ბარბაქაძის ინფორმაციით, ამ სამუშაოებისთვის პროექტს თანხაც დაემატა:

„აზიის განვითარების ბანკმა დაგვიმატა თანხა და მოსახლეობას ეს პრობლემები უნდა მოვუგვაროთ, რადგან ძალიან ძველი კოროზირებული მილებია, და აუცილებელია მათი შეცვლა. ამასთან დაგვემატა ქუჩები, აბონენტები, გამრიცხველიანება და დროც ამ მიზეზით გაიზარდა“.

როგორც გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ქუთაისის სერვის-ცენტრის ხელმძღვანელი ბექა ბარბაქაძე ამბობს, სარეკონსტრუქციო სამუშაოები ამჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, რაც პროექტის წლის ბოლომდე დასრულების შესაძლებლობას იძლევა. ბექა ბარბაქაძის ინფორმაციით, აბონენტებს უახლოეს მომავალში გაუხანგრძლივდებათ წყლის მიწოდების დრო, 24-საათიანი წყალმომარაგება კი ეტაპობრივად დაიწყება.

ქუთაისის მუდმივი წყალმომარაგების პროექტი მოიცავს გამრიცხველიანებას, სასმელი წყლის ქსელის მშენებლობა-რეკონსტრუქციასა და ორი ახალი რეზერვუარის და სატუმბი სადგურის მშენებლობას. პროექტს, რომლის ღირებულება 93 მილიონი ლარია, აზიის განვითარების ბანკი და საქართველოს მთავრობა აფინანსებენ. ამ სამუშაოების შემდეგ უნდა დაიწყოს წყალარინების სისტემის და კანალიზაციის წყლის გამწმენდი ნაგებობების მშენებლობის პროექტი, რომლის ღირებულება 100 მილიონი ევროა.

თეა კაჭკაჭიშვილი

თბილისში ავარიას 16 წლის ახალგაზრდა ემსხვერპლა

თბილისში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 16 წლის ახალგაზრდა დაიღუპა. შემთხვევა წუხელ მოხდა. ავტომობილი, რომელშიც 4 ადამიანი იმყოფებოდა, ხეს შეეჯახა.

შსს-ს ცნობით, გამოძიება 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის და ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს.

„ლიბერთი ბანკის“ მძარცველებს დანაშაულზე წაასწრეს!

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 1989 წელს დაბადებული ი.გ. ქურდობის მცდელობის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

ჩადენილი დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პოლიციამ ბრალდებული ფონიჭალაში იმ დროს დააკავა, როდესაც იგი „ლიბერთი ბანკის“ ჩასარიცხი აპარატის გაქურდვას ცდილობდა. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-177-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ქურდობის მცდელობას გულისხმობს.

მალე სინგაპურში საჰაერო ტაქსები იფრენენ!..

სინგაპურის სამოქალაქო ავიაციის სააგენტო (CAAS) მიმდინარე წელს საჰაერო ტაქსების სერვისის სატესტო რეჟიმში გაშვებას გეგმავს. ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ Channel News Asia ავრცელებს.

ტაქსს ვერტმფრენის ფორმა ექნება, თუმცა, მისმა შემქმნელებმა ის უპილოტო საფრენი აპარატის კონცეფციით შექმნეს.

აფრენა და დაფრენა ვერტიკალურ მდგომარეობაში დისტანციური მართვით, ან ავტომატურ რეჟიმში მოხდება.

საჰაერო აპარატის კაბინაში 2 ადამიანის განთავსებაა შესაძლებელი და მას 30 კმ-ს დაფარვა შეუძლია.

როგორც უცხოური მედია წერს, საჰაერო ტაქსის ტესტირება წყალზე მოხდება და არა დასახლებულ პუნქტში.

გერმანიის ქალაქ მაინის ფრანკფურტის აეროპორტში მგზავრებს რობოტი ელოდება

გერმანიის ქალაქ მაინის ფრანკფურტის აეროპორტში მგზავრებს რობოტი ელოდება. „ჭკვიანი“ დამხმარე FRAnny მზადაა, მათ მიაწოდოს ინფორმაცია რეისების შესახებ, უჩვენოს საჭირო გეითი, კვების ობიექტები და ასევე Wi-Fi სერვისის მიღებაში დაეხმაროს. რობოტს აგრეთვე შეუძლია მგზავრთან სხვადასხვა ენაზე დაამყაროს კომუნიკაცია.

პროექტი ფრანკფურტის აეროპორტისა და ტექნოლოგიური კომპანიების: Fraport AG-სა და DB Systel Gmbh-ის ერთობლივი ნამუშევარია.

ექსპერტების განმარტებით, FRAnny ხალხთან კომუნიკაციას ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით ამყარებს. რობოტი იყენებს აეროპორტის საინფორმაციო ბაზას და ისე აწვდის მგზავრს დეტალურ ინფორმაციას.

რობოტი აეროპორტში სატესტო რეჟიმში კიდევ 6 თვის განმავლობაში იმუშავებს.

ევროპული ქალაქის TOP-5, სადაც ყავის გამო ღირს ჩასვლა

ყავა მსოფლიოში ერთ-ერთი პოპულარული სასმელია, რომელსაც მდიდარი ისტორია აქვს. თანამედროვე სამყაროში ადამიანებს მის გარეშე ერთი დღეც ვერ წარმოუდგენიათ.

Lonely Planet-ის ექსპერტებმა ევროპული ქალაქების რეიტინგი შეადგინეს, სადაც ყავის გამო ღირს ჩასვლა და იქ სტამბოლი ლიდერობს. მაშ, ასე, ევროპული ქალაქების TOP-5, სადაც ყავის გამო ტურისტი უნდა ჩავიდეს, ასეთია:

1. სტამბოლი, თურქეთი;
2. ლონდონი, დიდი ბრიტანეთი;
3. ტურინი, იტალია;
4. ოსლო, ნორვეგია;
5. ვენა, ავსტრია.

რუსეთში სტალინის მიმართ კეთილგანწყობა რეკორდულად მაღალია

რუსეთის მოსახლეობის 70 % მიიჩნევს, რომ სტალინმა დადებითი როლი შეასრულა რუსეთის ისტორიაში. ეს მონაცემები „ლევადა-ცენტრის“ მიერ იქ ჩატარებულ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს ეყრდნობა.

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, სტალინის როლს დადებითად გამოკითხული მოსახლეობის მხოლოდ 54 % მიიჩნევდა.

სტალინის როლს ნეგატიურად მხოლოდ 19 პროცენტი მიიჩნევს.

აღსანიშნავია, რომ 2008 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, სტალინის მიერ ჩადენილ დანაშაულებს გაუმართლებლად მიიჩნევდა 60 %, ხოლო მიმდინარე წელს ჩატარებული კვლევამ ცხადჰყო, რომ ეს მაჩვენებელი 45 %-მდე შემცირდა.

სისხლიანი ტირანის, საბჭოთა კავშირის ლიდერის იოსებ სტალინის იმიჯი რუსეთში 2000 წლიდან ნელ-ნელა იზრდება. ცნობილია, რომ რუსეთის ეროვნული ჰიმნი, რომლის თანამედროვე ვარიანტი 2001 წლიდან მოქმედებს საბჭოთა კავშირის ჰიმნის მუსიკას ეფუძნება. ტექსტი კი თავიდან დაწერა სერგეი მიხალკოვმა, რომელიც ასევე საბჭოთა ჰიმნის ავტორიც იყო. იგი 2000 წელს პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ დამტკიცდა.

ნაპოვნია უძველესი ადამიანის ახალი სახეობა

არქეოლოგმა არმანდ მიჯარესმა ფილიპინების გამოქვაბულში ძვლების უცნაური ნარჩენები იპოვა. ძვლები ძალიან ჰგავს ადამიანისას, მაგრამ არც იმდენად, რომ იგივე სახეობად ჩაითვალოს.

ჰომინიდების ჯგუფის პრიმატი ადამიანის ერთგვარი ბიძაშვილია, რომელიც მასზე გაცილებით დაბალია და ლიტერატურულ პერსონაჟებს, მცირე ზომის ჰობიტებს ჩამოჰგავს. მას ლათინურად Homo Luzonensis უწოდეს.

აღმოჩენის პრეზენტაცია ფილიპინების დედაქალაქ მანილაში ხუთშაბათს, 11 აპრილს გაიმართა. არქეოლოგ არმანდ მიჯარესის თქმით, პრიმატი დედამიწაზე დაახლოებით 50 ათასიდან 67 ათასამდე წლის წინათ სახლობდა. მეცნიერი ასევე ამბობს, რომ ამ სახეობის წარმომადგენლები სავარაუდოდ, აღმოჩენის ადგილზე არ ცხოვრობდნენ, მათი ძვლები გამოქვაბულში შესაძლოა, წყალმა შერეცხა.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5

ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი

სპარტაკ ქობულია

599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:

გურამ გოგიაშვილი

599 53-76-16;

ალეკო ასლანიშვილი

599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი

მამუკა ვაშაკიძე

514 33-33-24

გამომცემლები:

შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

ტ: 599 79-76-79

შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა

„კოლორ პრესში“

რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.6916; ევრო - 3.0447;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5276;
100 რუბლი - 4.1909; თურქული ლირა - 0.4648;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5832;
1000 სომხური დრამი - 5.5428.

ამინდი 17 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +8, დღე +14
მთიანი რაიონები - ღამე +2, დღე +9
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +6, დღე +12
მთიანი რაიონები - ღამე +4, დღე +10
თბილისი: ღამე +9, დღე +13

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:

ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge